სსიპ გორის სახელწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქეთევან მარკოზაშვილი

შიდა ქართლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასახვა ადგილობრივ პრესაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: იოსებ ჭუმბურიძე,

ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ადგილობრივი პრესა არასოდეს ყოფილა განებივრებული მკვლევართა ყურადღებით. იშვიათად თუ მოისურვებდა ვინმე მის შესწავლა - გაანალიზებას. დღეს კი ბევრმა ადგილობრივი გამოცემების არსებობაც არ იცის. არადა, ისინი არსებობენ და თავიანთ კონკრეტულ ფუნქციებსა და ამოცანებსაც ასრულებენ.

კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქამ თვით ტელევიზიის ზეგავლენის არეალიც კი შეავიწროვა, რაღა უნდა ითქვას პრესაზე და მით უფრო ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებზე. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არის საინტერესო მათი შესწავლა, იმის გამოკვლევა, თუ რა ნიშა უჭირავთ და რა როლს ასრულებენ ისინი ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამდენად უზრუნველყოფენ ადგილობრივ მოსახლეობას საჭირო ინფორმაციით, რამდენად ეხმარებიან მას სოციალური თუ ყოფითი პრობლემების მოგვარებაში.

ჩვენი ნაშრომის მიზანიც სწორედ ამის ჩვენებაა - შიდა ქართლში გამომავალი ორი გაზეთისა და ერთი ჟურნალის მაგალითზე, მათი პუბლიკაციების განხილვა - ანალიზის საფუძველზე...

Annotation

The local press has never been pampered with reaserchers' attention. Rarely anyone would desire to analyze and study it. Nowadays not everyone knows about local editions. Still, they exist and fulfill their exact functions and duties.

The computer and technology era has narrowed even television impact. In this case what could be said about press and local editions. We consider, that this is the reason why researching editing is so interesting, what place it takes in social-political development of municipality, if they provide society with necessary information and support them in solving everyday social problems.

The aim of our work is to show this abovementioned role of editing - based on the example of two newspapers and a journal publishing in Shida Qartli region, discussing and analyzing their articles.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I

ზოგადად - ინფორმაციის მნიშვნელობასა და გაზეთის ისტორიაზე 5

თავი II

ორიოდე სიტყვა გაზეთ „გორის მაცნეს“ შესახებ 9

ოპერატიულობისა და ჟანრთა მრავალფეროვნების საკითხი 13

საინტერესო ამბები 28

მხოლოდ „გორის მაცნეში“ 29

ნომრიდან ნომერში 30

პრობლემები 32

გეგმები 32

ოკუპაციის პრობლემის გაშუქება გაზეთ „გორის მაცნეში“ 34

თავი III

გაზეთი „ქარელის მოამბე“ 45

გაზეთის ძირითადი თემატიკა 45

დასკვნა 50

გამოყენებული ლიტერატურა 52

შესავალი

ყოველ მედიასაშუალებას ინფორმაციის გავრცელების საკუთარი არეალი და შესაბამისი სტილი აქვს. აუდიტორიაც სხვადასხვა მედიასაშუალებით მიღებულ ინფორმაციას სხვადასხვაგვარად აღიქვამს და გაიაზრებს. რაც უფრო განსხვავდებიან მედიასაშუალებები ერთმანეთისაგან, მით უფრო განსხვავებულია აუდიტორიაზე მათი ზეგავლენა.

თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, დღევანდელ მასმედიას წარმოუდენელი რაოდენობის აუდიტორია ჰყავს. მილიონობით ადამიანი ტელევიზიით ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებს, უამრავი კი ინტერნეტით ეცნობა. ამ ყოველივემ საგრძნობლად შეავიწროვა გაზეთი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „მოსახლეობის მიერ გაზეთის გამოწერა წლიდან წლამდე კლებულობს (დეფლორი, დენისი, „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“).“ ამის მიუხედავად, „გაზეთი კვლავ რჩება პერსონალურ და ადგილობრივ მედიასაშუალებად, რითაც ადამიანები იღებენ ინფორმაციას ადგილობრივი ადამიანების, მოვლენებისა და ინსტიტუტების შესახებ. ამგვარად, გაზეთები ახერხებენ ხალხს ისეთი სამსახური გაუწიონ, რაც სხვა მედიასაშუალებას არ შეუძლია“(იქვე).

ჩვენი ნაშრომი იმის წარმოჩენას ეძღვნება, თუ რამდენად აისახება შიდა ქართლის ცხოვრების მნიშველოვანი მოვლენები ადგილობრივ პრესაში. განსახილველად შევარჩიეთ ადგილობრივი (ყოველკვირეული) გაზეთები: „გორის მაცნე“ და „ქარელის მოამბე“.

ზოგადად - ინფორმაციის მნიშვნელობასა და გაზეთის ისტორიაზე

გაზეთის ისტორიაც კაცობრიობის განვითარების ეტაპებს ემთხვევა: ჯერ იყო ე. წ. „ზეპირი გაზეთი“(„სალაყბო მოედანი“, საფიხვნო, ფეოდალური პარიზის მოედნები, ფორუმი რომში...); შემდეგ გაჩნდა ხელნაწერი გაზეთი, გუტენბერგის გენიალურმა გამოგონებამ კი სათავე დაუდო ნაბეჭდი გაზეთის დაბადებას.

ჟურნალისტიკის უპირველესი დანიშნულება საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფაა. ინფორმაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეტყობინებას, ცნობას რაიმეს შესახებ, ინფორმირება კი(ასევე ლათინური სიტყვა) აღნიშნავს ინფორმაციის მიწოდების პროცესს. ეს ორი ცნება განსაზღვრავს ჟურნალისტიკის არსს. „სადაც არ არის ინფორმაცია და ინფორმირება, იქ არ არის ჟურნალისტიკა(ი. ჭუმბურიძე, „ჟურნალისტიკის შესავლის საკითხები“), ოღონდ ჟურნალისტიკას აინტერესებს არა ყოველგვარი ინფორმაცია, არამედ აქტუალური, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ახალი ამბავი, რომელიც განკუთვნილია მასობრივი აუდიტორიისათვის და ემსახურება მის ინტერესებს. ჟურნალისტი ამზადებს ინფორმაციას (ტექსტს), რომელიც იბეჭდება გაზეთსა და ჟურნალში, გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით, ვრცელდება ინტერნეტით.

ჟურნალი (journal)ფრანგული სიტყვაა და დღიურს ნიშნავს, ის მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან diurna (ყოველდღიური). ტერმინი თავისთავად მიგვანიშნებს არსზე : ჟურნალისტიკა ასახავს იმას, რაც დღეს ხდება , ანუ ახალ ამბავს, თანამედროვე ცხოვრებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჟურნალისტიკის ნაირგვარი განმარტება არსებობს. ერთ-ერთი განმარტების მიხედით, ჟურნალისტიკა არის სისტემა, რომელსაც საზოგადოება ქმნის ახალი ამბების მოსაპოვებლად. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მისიაა. ადამიანს ყოველთვის აინტერესებს, რა ხდება იქ, სადაც თვითონ არ არის... ამას შეგვიძლია „საქმის კურსში ყოფნის ინსტინქტი“ ვუწოდოთ. ჟურნალისტიკა სწორედ ამ

„ინსტინქტის“ დაკმაყოფილებას ემსახურება. მაგრამ „ჟურნალისტიკა, ცხადია, გაცილებით მეტს გულისხმობს. ჟურნალისტიკა ეს არის შემოქმედებითი მოღვაწეობის სახეობა, სადაც პროფესიის საფუძველია ცხოვრების წვდომა, სინამდვილის ნებისმიერი მხარის ობიექტური გაშუქება, ადამიანური ყოფის მრავალფეროვნების გააზრება... ჟურნალისტიკა კიდეც ასახავს და კიდეც აყალიბებს საზოგადოებრივ ცნობიერებას, ემსახურება საზოგადოებას და, იმავდროულად, სოციალური მართვის ინსტრუმენტადაც გვევლინება. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას მეოთხე ხელისუფლებას. ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია. მისი ყოველმხრივი განვითარების გარეშე, შეუძლებელია საზოგადოებისა და ცივილიზაციის წინსვლა“(იქვე).

ადამიანებმა, ენა ამოიდგეს თუ არა, მაშინვე დაინტერესდნენ ჭორებით, ირგვლივ მყოფთა თუ სხვათა საქმეებით და იმით, თუ რა ხდებოდა სხვაგან. ათასობით წლის განმავლობაში ერთ-ერთი საშუალება, რითაც ისინი თავიანთ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდნენ, შეკრებები, ტავერნები და ბაზრობები იყო. მათთვის ერთადერთ მედიას წარმოადგენდნენ მოგზაურები და მოხეტიალე ტრუბადურები. ახალი ამბების გაგების ერთადერთ ხერხს- სხვა ადამიანებთან საუბარი და ზეპირი ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლა წარმოადგენდა. პირველი ახალი ამბავი (იგულისხმება ფორმალური, წერილობით საჯაროდ გაცხადებული ინფორმაცია) ქრისტეს დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა.ყოველდღიურად რომის სენატი საჯარო ადგილებში ათავსებდა ხელნაწერ საინფორმაციო ფურცელს, რომელსაც „რომაელი ხალხის ყოველდღიური საქმიანობა“ ეწოდებოდა . ეს განცხადებები სენატის საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიმდინარე ანგარიშები იყო . ისინი ასევე იუწყებოდნენ ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობისა და დედაქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

გაზეთის, ისევე როგორც ყველა სხვა მედიასაშუალების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა განაპირობა. ეს თავიდან ბოლომდე გუტენბერგის მანქანის დამსახურება იყო. ბოლო წლებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა კომპიუტერმა და თანამგზავრმა, არამარტო ახალი ამბების შეკრების, არამედ იმ მექანიკური ფუნქციების გაკონტროლების საკითხებში, რომელიც აუცილებელია

გაზეთის ბეჭდვისა და გავრცელებისათვის. კომპიუტერმა არა მარტო გაზეთის ტექნიკური დაკომერციული მხარე, არამედ ჟურნალისტის მუშაობის სტილიც ძირეულად შეცვალა. კომპიუტერი რეპორტიორისა და რედაქტორის სამუშაოს განუყოფელი ნაწილი გახდა. მას ინფორმაციისათვის საჭირო მონაცემების მოსაპოვებლად, თვითონ იფორმაციის შესაკრებად, ფოტოების დასამუშავებლად და რეპორტაჟების მოსამზადებლად იყენებენ.

გაზეთის ისტორია გუტენბერგის მიერ სტამბის გამოგონებით იწყება. მნიშვნელოვანიახალი ამბების ნაბეჭდი სახით გამოცემაც ძალიან მალე მოხერხდა. ეს გაზეთის წინამორბედი მოკლე დოკუმენტები შორ მანძილზე სწრაფად იგზავნებოდა. ახალი ამბების გასავრცელებლად, ბეჭდვის გამოყენება მისი გამოგონებისთანავე დაიწყო. 1500-იანი წლების შუა რიცხვებში ვენეციის მმართველები მოქალაქეებს რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას დალმაციაში მიმდინარე ომის შესახებ. ამ ნაბეჭდი მასალის საფასურს ვენეციელები პატარა მონეტით იხდიდნენ, რომელსაც gazetta ერქვა (აქედან წარმოიშვა სიტყვა „გაზეთი“). პირველი ნაბეჭდი გაზეთი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 1620 წლით თარიღდება. სავარაუდოდ, ეს არის პირველი ინგლისური გაზეთი, თუმცა არა ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. თანამედროვე გაზეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები ძველ გაზეთებს,რა თქმა უნდა, არ გააჩნიათ.

ჟურნალისტიკის ცნობილი ისტორიკოსი ედვინ ემერი გაზეთის ასეთ განმარტებას

გვთავაზობს :

1. გამოდის, სულ მცირე, კვირაში ერთხელ;

2. იბეჭდება მექანიკური წესით;

3. ხელმისაწვდომია (ფასის მხრივ) ნებისმიერი ყაიდის ადამიანისათვის;

4. აშუქებს ზოგად და არა სპეციალიზებულ თემებს, მაგალითად, რელიგიას ან ბიზნესს;

5. გასაგებია საშუალო დონის განათლების მქონე ადამიანებისათვის;

6. დროულია;

7. გამოდის სტაბილურად.

პრესა გვაწვდის ინფორმაციას იმ მოვლენათა, ვითარებათა და ცვლილებათა შესახებ, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებაზე საგრძნობი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. უფრო მეტიც, დღევანდელი პრესა ამას ისე სწრაფად და დეტალურად აკეთებს, როგორც არასდროს. მედიისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ხელს უწყობს უფრო მეტი მოვლენის დეტალურ გაშუქებას, ინფორმაციის უფრო სწრაფად მოპოვებასა და გავრცელებას, ვიდრე ოდესმე.

ორიოდე სიტყვა გაზეთ „გორის მაცნეს“ შესახებ

ყოველკვირეული გაზეთი „გორის მაცნე“, ამ სახელწოდებით, 2010 წლიდან გამოდის. მის წინამორბედად ითვლება 1993 წლიდან გამომავალი „გორის მოამბე“ და 2006 წლიდან გამომავალი „ლომჭაბუკი.“ გაზეთი ვრცელდება გორსა და გორის მუნიციპალიტეტში (რაიონში) შემავალ სოფლებში. მისი ღირებულება 30 თეთრია. გაზეთის ტირაჟია 350 ეგზემპლარი; გვერდების რაოდენობა - 4; მთავარი რედაქტორია ია თინიკაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი - მარიამ გიგაშვილი; გაზეთი ყოველ ორშაბათს გამოდის და მასში შეგვიძლია, ვიხილოთ ბევრი საინტერესო პუბლიკაცია პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, კულტურის, სპორტის სფეროდან. გაზეთი „გორის მაცნე“ გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, დადგენილი უფლება-მოვალეობებით ა(ა)იპ-ი უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზე, აშუქებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში არსებულ პრობლემებსა და სიახლეებს, აქვეყნებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტებს, ასახავს სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიებებს, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან. გაზეთის ყველაზე აქტიური წარმომადგენელია ჟურნალისტი იათინიკაშვილი - გამოცდილი ჟურნალისტი, რომელიც მუდამ მოვლენათა ეპიცენტრშია. მისი გამოცდილება და აქტიურობა ნამდვილად ეტყობა გაზეთს, რომელიც გამოირჩევა ინფორმაციების სიუხვითა და თემათა მრავალფეროვნებით. სხვადასხვა თემას სხვადასხვა ჟურნალისტები აშუქებენ. ოკუპაციის თემაზე კი, ძირითადად, რედაქტორი წერს. ია თინიკაშვილი აშუქებს ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებსაც - იქნება ეს დაკავშირებული პოლიტიკასთან, სოციალურ სფეროსთან თუ კრიმინალთან. კულტურის სიახლეებს აშუქებს და ამ სფეროში ჩატარებული ღონისძიებების, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტატიებს წერენ მარიამ გიგაშვილი და ნათია ხორბალაძე. რაც შეეხება, სპორტს, ამ საკითხზე ვასილ ბალახაძე გვაწვდის ინფორმაციებს. ძირითადად, ეს არის სტატიები სპორტის სხვადასხვა

სახეობაზე და მათ გორელ წარმომადგენლებზე, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას ამ სფეროში.

ჩვენ განვიხილეთ 2018 წლის ყველა ნომერი და 2019 წლის 5 თვის განმავლობაში გამოცემული ნომრები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, წარმოვაჩინოთ რამდენად პასუხობს გაზეთი მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, რამდენად არის ინფორმაციული, რამდენად იცავს არსებულ სტანდარტებს და ასრულებს ყოველკვირეული გაზეთის ფუნქციას. რამდენად არის დამოუკიდებელიდა მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენისგან. რამდენად არის მოწერსრიგებული, დაბალანსებული, დაცულია თუ არა მასში ენა და სტილი და ა.შ. მაში დაბეჭდილი ინფორმაცია არის თუ არა ობიექტური. როგორ ასრულებენ აქ მომუშავე ჟურნალისტები მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტობა ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ პროფესიად ითვლება, თანამედროვე მედიალოგიაში (ჟურნალისტიკისმცოდნეობაში) ობიექტურობის ცნება ეჭვის ქვეშაა დაყენებული. მკვლევართა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ჟურნალისტიკაში ობიექტურობის დაცვა, არსებითად, შეუძლებელია, ვინაიდან ჟურნალისტიც ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც სუბიექტური მოტივები ამოძრავებს და საკუთარი მოსაზრებები აქვს . მათი აზრით, ობიექტური შეიძლება იყოს მეთოდი და არა ჟურნალისტი. თუმცა, როგორ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური მეთოდით სუბიექტურმა ადამიანმა (ჟურნალისტმა)? საკითხავი ეს არის.

საინტერესოა გაზეთის ვიზუალური გაფორმებაც. ფერები სპეციალურად არის შერჩეული - ლურჯი და მწვანე, რაც მკითხველში სიმშვიდისა და კეთილგანწყობის განცდას ბადებს. ქაღალდი თეთრია, რაც პუბლიკაციების აღქმას აადვილებს, თუმცა შრიფტი საკმაოდ წვრილია, რაც უთუოდ იმის სურვილით უნდა ავხსნათ, რომ ოთხმა გვერდმა რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია დაიტიოს. ბეჭდურ მედიაში, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფოტოილუსტრაციას. გაზეთ „გორის მაცნეში“ თითქმის ყველა პუბლიკაციას ახლავს ფოტო, რაც უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებს მოცემულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ გაზეთი ,,გორის მაცნე“ ფოტომასალას ინტერნეტში არ ეძებს და თითქმის ყველა ფოტო რედაქციის კუთვნილებაა.

გაზეთის ვიზუალურ მხარესთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ გვერდს. ეს მისი სავიზიტო ბარათია, ამით იცნობს და გამოარჩევს მას მკითხველი. პირველ გვერდს უცხოელი მკვლევარები გაზეთის ვიტრინას უწოდებენ. ვიტრინის დანიშნულება კი ყველასათვის ცნობილია.

პირველი გვერდის მთავარი ამოცანაა, აიძულოს მკითხველი, ხელი დასტაცოს გაზეთს. გადააქციოს გაზეთის დამთვალიერებელი მის მკითხველად. გაზეთი წამსვე უნდა იცნო. ამიტომ დიზაინი მისი საკუთარი იმიჯის შექმნას უნდა ემსახურებდეს. ამავდროულად, ყოველი ახალი ნომრის პირველი გვერდი უნდა განსხვავდებოდეს წინა ნომრის პირველი გვერდისაგან, რათა მკითხველმა ყოველთვის რაღაც ახალი იხილოს. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული გაზეთების უმეტესობა ამ უკანასკნელ პრინციპს სრულიად უგულებელყოფს. მათი პირველი გვერდი, ნომრიდან ნომერში, თითქმის არ იცვლება. ყოველი გაზეთი „პირველი გვერდით იცნობა“. პირველი გვერდის მიხედვით, შეგვიძლია გამოვიცნოთ გაზეთის ხასიათი და მიმართულება, მივხვდეთ - აკადემიურია თუ ყვითელი, ოპოზიციურია გამოცემა, რადიკალური თუ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი.

„გორის მაცნეს“ ეს ყოველივე გაცნობიერებული აქვს და ცდილობს, ყოველი ახალი ნომრის პირველი გვერდი, წინასაგან განსხვავებული იყოს. პირველ გვერდზე იბეჭდება ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი ამბები ქალაქის, რეგიონის თუქვეყნის ცხოვრებიდან - პოლიტიკის, კულტურის, სპორტის, სოციალური სფეროდან. ის საპირველგვერდოდ არ არჩევს კრიმინალურ ქრონიკასა და სკანდალურ ინფორმაციებს. „გორის მაცნე“ საერთოდაც არ არის ორიენტირებული სკანდალებზე. ცდილობს, მკითხველს მიაწოდოს სწორი, რეალური ინფორმაცია. რედაქტორის აზრით, რეალურ და ნამდვილ ინფორმაციას ვერც პოზიცია დაუდგება წინ და ვერც ოპოზიცია და ვერც ის, რომ გაზეთს მუნიციპალიტეტი აფინანსებს . გაზეთის რედაქტორი თავს შეზღუდულად არ გრძნობს. ამბობს, რომ არასდროს არავისთან შეუთანხმებია, რომელი თემა თუ მოვლენა გაეშუქებინა გაზეთში, ვისი კომენტარი დაებეჭდა და ვისი არა. მისთვის მთავარია, რომ გაზეთი არ გასცდეს ზნეობისა და ეთიკის ფარგლებს. ზოგადად რედაქტორის თავისუფლების ხარისხზე დიდწილად არის დამოკიდებული გაზეთის თავისუფლება. გაზეთი შეგნებულად არ აშუქებს სუიციდის ფაქტებს. გაზეთის

სხვადასხვა ნომრის გაცნობისას, ერთი სტატია ან ნიუსიც არ შეგვხვედრია ამ თემაზე. რედაქტორის პოზიცია ასეთია: ,,სუიციდი ნიუსი არ არის", მედია კი ამ თემას მუდამ სათავისოდ იყენებს, რაც არასწორია. მსგავსი ფაქტების გაშუქება საზოგადოებაში უარყოფით განწყობას ბადებს. ვფიქრობთ, ეს ნამდვილად სწორი მიდგომაა და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ გაზეთი „გორის მაცნე " ნამდვილად არ არის ორიენტირებული სკანდალებზე. რედაქტორის თქმით, თუკი სუიციდს თან არ ახლავს სხვაგარემოებები, რომელიც დანაშაულზე მიუთითებს, გაზეთმა არ უნდა გააშუქოს. ეს შეიძლება სუსტი ფსიქიკის ადამიანებისათვის მაპროვოცირებელიც კი იყოს. შესაბამისად რედაქტორი იყენებს საკუთარ უფლებას, დაბლოკოს ეს თემა.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტობა ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ პროფესიად ითვლება, ჟურნალისტის თავასუფლება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. ჟურნალისტი თავისუფალია არჩევანში დ არა შეხედულებებში. ის მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. თავისუფლების ხარისხს კი განაპირობებს მისივე გამოცდილება, განათლება, მსოფლმხედველობა, გარემო და სამუშაო პირობები; შეუძლებებლია, მასალა სრულყოფილად იყოს მიწოდებული, რადგან ჟურნალისტი სუბიექტური ნიშნით წყვეტს, რომელი ფაქტის გაშუქებას მაინიჭოს უპირატესობა და ვის მიანდოს კომენტარი. ჟურნალისტი ვერ იქნება მიუკერძოებელი, თუკი ის ვალდებულია , მოვლენათა არსში ჩასაწვდომად, დაეყრდნოს მსჯელობას, გამოავლინოს ადამიანთა პოზიციები, სხვათა შეხედულებები (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ მერილი). ამით იმის თქმა მსურს, რომ ყველას სჭირდება შესაბამსი პირობები იმისათვის, რომ ჟურნალისტმა კარგად შეასრულოს მასზე დაკისრებული ყველა მოვალეობა. ტელერეპორტიორმა გარიკ ათლიმ ჟურნალისტების საერთო აზრი ასე გამოხატა : „თითოეული ადამიანის საქმე ჟურნალისტის საქმეა, ჟურნალისტის საქმე კი არავის საქმე არ არის" ეს შეხედულება ბოლომდე კიდევაც რომ არ გავიზიაროთ, პროფესიის არსზე და მის განსაკუთრებულობაზე მაინც უდავოდ მიგვანიშნებს.

გაზეთი ,,გორის მაცნე", ძირითადად, პასუხობს მისთვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას. უპირველესად, აღსანიშნავია მისი ინფორმაციულობა. მასში ნახავთ როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკურ, ისე კულტურისა და სპორტის სიახლეებს, ეს

მითუმეტეს დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ გაზეთი ოთხგვერდიანია და მთელი კვირის განმავლობაში რეგიონსა თუ ქვეყანაში მომხდარ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ამბავს ეხმაურება.

ოპერატიულობისა და ჟანრთა მრავალფეროვნების საკითხი

გაზეთი თემატურად მრავალფეროვანია. მასში ასახულია პოლიტიკა, კულტურა, განათლება, სპორტი, ამინდი, კულინარია, ასტროლოგია... რაც შეეხება პუბლიცისტურ ჟანრებს, ძირითად ვხვდებით სტატიას და ნიუსს. იშვიათად - , ინტერვიუს და რეპორტაჟს.

უკვე აღინიშნა, რომ ,,გორის მაცნე“ ყოველკვირეული გაზეთია. აქედან გამომდინარე, მას ვერ მოვთხოვთ ოპერატიულობას, ის კი აუცილებელია, რომ მასში აისახოს კვირის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები, ასევე, პრობლემები, რომლებიც იმ მომენტში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის(რაიონის) მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს. უნდა ითქვას, რომ გაზეთი ოპერატიულობასაც ახერხებს და ხშირად კვირა დღით მომხდარ მოვლენას ორშაბათის ნომერში აშუქებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევის შესახებ ნიუსების გამოქვეყნება, ან რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენა.

ის, რომ პუბლიცისტურ ჟანრთაგან ყველაზე ხშირად, ნიუსი და სტატია გვხვდება, ბუნებრივი და ლოგიკურია: ინფორმაციულობა ხომ გაზეთის უპირველესი დანიშნულებაა, რაც შეეხება სტატიას, ამ ჟანრს გაზეთი ყველაზე აქტუალური საკითხების, სერიოზული პრობლემების გასაშუქებლად მიმართავს. სტრატიის საგანიც ხომ პრობლემაა. გაზეთში გვხვდება სხვა ჟანრებიც, მაგალითად, ინტერვიუ. აქ გამოქვეყნებული სტატიები იცავენ ჟანრის მოთხოვნებს: ჯერ დასმულია პრობლემა,

შემდეგ ხდება მისი აქტუალურობის დასაბუთება და ბოლოს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაც.

სათაურს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაზეთსა და ჟურნალში. სტატიის სათაურს კი უფრო მეტი მოეთხოვება. აქ სათაური მეტაფორული, ხატოვანი უნდა იყოს, ღრმა ქვეტექსტის შემცველი და ერთგვარად დამაინტრიგებელიც, რათა მიიზიდოს ადამიანი, დამთვალიერებელი აქციოს გაზეთის მყიდველად, შემდეგ კი - მისმკითხველად. ოღონდ, ამ მიზნის მისაღწევად გაზეთმა უკადრის ხერხებს არ უნდა მიმართოს.

გაზეთი „გორის მაცნე“ ამ თვალსაზრისითაც ღირსეულად გამოიყურება და აკადემიური პრესის პრინციპებს იცავს.

„სოფელ დიცის საგუშაგოზე სპეცრაზმელი დაიღუპა.“ - ასეთია ერთ-ერთი პუბლიკაციის სათაური(7 – 13 მაისი, 2018). ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, ეს თვითმკვლელობა იყო, მაგრამ ვინაიდან გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, გაზეთმა რაიმეს მტკიცებისაგან თავი შეიკავა და მკითხველს ნეიტრალური ინფორმაცია მიაწოდა. ეს იმ ფონზე, როდესაც სხვა მედიასაშუალებებმა გარდაცვალება თვითმკვლელობად გამოაცხადეს და ასეთი ფორმით მიაწოდეს ინფორმაცია საზოგადოებას. გარდა ამისა, გაზეთში დაბეჭდილი სხვა პუბლიკაციების სათაურები ძალიან სწორად და დაფიქრებით არის შერჩეული, რაც გვაფიქრებინებს რომ გაზეთი „გორის მაცნე“ სათაურის მნიშვნელობას სრულიად იაზრებს და ცდილობს რომ მაქსიმალურად სწორად შეარჩიოს ისინი.

ინფორმაცულ ჟანრთაგან გაზეთი „გორის მაცნე“ ყველაზე ხშირად იყენებს ინტერვიუს, ანალიტიკურთაგან კი - სტატიას. დანიშნულების , ფორმისა და კომპოზიციის მიხედვით, პუბლიცისტიკის ყველაზე გამორჩეული ჟანრი ინტერვიუა. ინტერვიუსთვის დამახასიათებელია უშუალობა, ოპერატიულობა და სხვა თვისებები. დღეს, ინტერვიუ იოლ ჟანრად აღიქმება. ინტერვიუ-დიალოგი, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიულ კითხვა-პასუხთა მექანიკურ ჯამად აღიქმება. სინამდვილეში, დიალოგის წარმართვა დიდ ჟურნალისტურ ოსტატობას მოითხოვს. ერთი შეკითხვის პასუხიდან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მეორე შეკითხვა. უნდა იქმნებოდეს

შთაბეჭდილება, რომ კითხვები (წინასწარ მომზადებულნიც!), უშუალოდ, საუბრის დროს იბადებიან. ნებისმიერი კითხვა-პასუხი უნდა ეხებოდეს და გამოხატავდეს ინტერვიუს თემად ქცეული ამა თუ იმ აქტუალური საკითხის არსს. ჟურნალისტს ბევრი რამ ევალება: თემის შერჩევა და მრავალმხრივი გააზრება, კითხვათა გამოკვეთა და საუბრის ბუნებრივად წარმართვა, კომპოზიციური სრულყოფა და ა.შ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში კი ტრაფარეტული კითხვა-პასუხი სჭარბობს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუები, რომლებიც მცირე რაოდენობით გვხვდება გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული და დახვეწილი კითხვებით წარმოდგენილი. აქ სწორად არის შერჩეული თემა და კითხვებიც შესაბამისად არის მომზადებული, ეს ჟურნალისტის (ინტერვიუერის) პროფესიონალიზმზე მეტყველებს. აქ დაბეჭდილი ინტერვიუები ძირითადად არის ინტერვიუ-დიალოგი, რომელიც სტანდარტულია და თითქმის ყველა ბეჭდური და სატელევიზიო მედია აქტიურად იყენებს . მაგალითად 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ არის მოცემული გაზეთის იანვრის პირველ ნომერში, გორის მერთან კონსტანტინე თავზარაშვილთან, რედაქტორის ია თინიკაშვილის ავტორობით. ამ ინტერვიუში კარგად არის მოცემული ტურიზმის განვითარების ახალი გეგმის, სხვადახვა ინფრასტრუქტურული პროექტების და სტრატგიების შესახებ. ეს ითვალისწინებს საგზაო მშენებლობებს, ტურისტულ მარშრუტებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს და ა.შ. ყველაფერი ეს რასაკვირველია აწუხებს და აინტერესებს ადგილობრივ მოსახლეობას, ჟურნალისტი კი ვალდებულია რომ სწორად წარმოაჩინოს ყველაფერი ის რასაც მაღალი საზოგადებრივი ინტერესი აქვს.

გორისა და გორის რაიონის მოსახლეობისათვის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გუბერნატორის პოზიცია და ადგილობრივი თვითმმართველობა. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ვრცელ ინტერვიუს აქვეყნებს ახლად დანიშნულ გუბერნატორთან გიორგი ხოჯევანიშვილთან გაზეთი „ გორის მაცნე“ სათაურით „ვცდილობ, ხალხის ეფექტური ელჩი ვიყო“ . ინტერვიუში გუბერნატორი საურობს გორის მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე. იგი აღნიშნავს, რომ

სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ განაცხადა რომ თავად იქნება ჩართული მათ განხორციელებაში. სტატიის ავტრი ია თინკაშვილი, რასაკვირველია, ამ ინტერვიუში ეხება კონფლიქტის თემას, საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოლენებსა დ არსებულ ვითარებას. პასუხად კი იღებს რომ ,, ვცდილობ ამ ხალხის ეფექტური ელჩი ვიყო ამ კუთხით“. როგორც მოგახსენეთ, ეს სიტყვები სტატიის სათაურია, რაც ვფიქრობ იმაზე მეტყველებს რომ გაზეთისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვნი და მტკივნეული თემა არის ოკუპაცია.

გარდა ამისა გაზეთი ინფორმაციას სამედიცინო კუთხითაც აწვდის მკითხველს. ამის დამადასტურებელია ვრცელი საკმაოდ ინფორმაციული ინტერვიუ რა უნდა ვიცოდეთ გველის ნაკბენზე.ამ თემასთან დაკავშირებით გაზეთში მოცემულია ინტერვიუ გორის სამედიცინო ცენტრის „გორმედის“ ქირურგთან დავით გასიტაშვილთან, რომელიც პასუხობს კითხვებზე რას იწვევს გველის შხამი? როგორ უნდა გაკეთდეს პირველადი დახმარება? რით ებრძვის მედიცინა გველის შხამს და აშ.

გაზეთში ხშირად ნახავთ მსგავსი სახის ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად: სპორტი საკამოდ აქტიურად შუქდება და მათ შორის ინტერვიუც ხშირად გამოიყენება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების აღსაწერად. აქ შეხვდებით ინტერვიუს „გორის დილას“ ფეხბურთელებთან მიმდინარე თამაშებისა და ტურნირებისშესახებ. აგრეთვე მწვრთნელებთან გუნდის პრობლემებისა და გეგმებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ეს მნიშვნელოვანია რადგან გორის რაიონის მოსახლეობა საკამოდ აქტიურად გულშემატკივრობს სპორტის ამ სახეობას და ქალაქის გუნდს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მათთვის მნშვნელოვანი და საჭიროა.

ერთ-ერთი ასეთი ინტერვიუ არის მაგალითად (2018 წლის 19-25 თებერვლის ნომერში) გორის,, დილას“ გამოცდილ ფეხბურთელთან ლუკა რაზმაძესთან სადაც ისაუბრეს მათი გამარჯვების(გუნდის) და მომავალი გეგმის შესახებ.

როგორც მოგახსენეთ, გაზეთი ანალიტიკური ჟანრებიდან იყენებს სტატიას. სტატია პუბლიცისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანრია. ამ ჟანრის მიზანი და დანიშნულება განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს თავად პუბლიცისტიკის არსსა

და მის ძირითად თვისებებს. ისეთებს როგორიცაა პირდაპირობა, აქტუალურობა, განზოგადება, ყოვლივეს მოსაზრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით, აუდიტორიაზე შუალო ზემოქმედების მიზნით. თუ ნიუსი მხოლოდ ფაქტს გადმოგვცემს, სტატიის საფუძველი საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემაა. ფაქტი სტატიაში არგუმენტის როლს ასრულებს. ფაქტების საშუალებით ხდება დასმული პრობლემის აქტუალურობისა და სიმწვავის დასაბუთება. ყოველივე ეს განსაზღვრავს სტატიის თავისებურ აღნაგობას, მის გამორჩეულ კომპოზიციას: თავდაპირევლად დასმულია პრობლემა, შემდეგ მიმდინარეობს მისი აქტუალურობისა და სიმწვავის დასაბუთება, განმაპირობებელი მიზეზების ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება, ფაქტების შეჯამება-ანალიზით, გამოტანილია ლოგიკური დასკვნები. გამოყოფენ სტატიის შემდეგ სახეებს: მოწინავე სტატია, პროპაგანდისტული სტატია, პრობლემური სტატია, არაპრობლემური სტატია არ არსებობს. მოწინავე სტატიის თანამედროვე შესატყვისებად კი შეგვიძლია ვიგულისხმოთ სარედაქციო სვეტი ანუ ედიტორიალი, მოსაზრების სვეტი ანუ ოპედი, ასევე საავტორო სვეტი.

უკვე ითქვა, რომ გაზეთი ,,გორის მაცნე“ კვირაში ერთხელ გამოდის დაკვირის განმავლობაში შიდა ქართლში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს უყრის თავს სხვადასხვა სფეროდან. გარდა გორის და გორის რაიონებში მომხდარი მოვლენებისა, აქ ნახავთ ინფორმაციას ზოგადად ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი ამბების შესახებ.

გაზეთში განხილულია თითქმის ყველა მწვავე საკითხი, რაც აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას: გაზმომარაგება, პარკირების თუ ნაგავსაყრელის პრობლემა,დანაშაულის, მათი გამოძიების და დამნაშავეთა დაკავების საკითხი, მერიისა და საკრებულოს ახალიამბები. აღსანიშნავია, რომ გაზეთი მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციასა და მოვლენებს არ აშუქებს. აქ ყველა ნომერში იხილავთ სიახლეებს - ახალი სკვერების თუ ბაგა-ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის, კულტურული ღონისძიების, სპორტული მიღწევებისშესახებ, რაც უფრო საინტერესოსა და ინფორმაციულად დატვირთულს ხდის გაზეთს.

ეს იმ ფონზე, როცა საქართველოში თითქმის ყველა მედიასაშუალება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქნება ეს სამაუწყებლო თუ ბეჭდური, ორიენტირებულია სკანდალური და ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებაზე. მსგავსი ფაქტებისა და მოვლენების გაშუქებით არიან დაკავებული და ხშირად ძალიან სასიამოვნო სიახლე, რაც ეხება განვითარებას, განათლებას თუ კულტურას, ყურადღების მიღმა რჩება, რაც არ შეესაბამება ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს.

ცნობილია, რომ ჟურნალისტური საქმიანობის არსს მისი საინფორმაციო ბუნება განსაზღვრავს. ჭეშმარიტი ჟურნალისტის მოვალეობა საზოგადოების დროული და ობიექტური ინფორმირებაა. თავის მხრივ, მედიის მიერ საზოგადოების წინაშე ნებაყოფლობით აღებული პასუხისმგებლობაა სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის გამოვლინება. ჟურნალისტიკის უპირველესი მიზანი სიმართლის თქმაა იმისათვის, რომ ხალხს ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რომელიც თავისუფლებისათვის სჭირდება. ეს მოსაზრება კარგად ეხმიანება ტომ როზენსტილის აზრს იმის შესახებ, რომ „ინფორმაციამ შექმნა დემოკრატია“(ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები“).

ჟურნალისტიკა ახალი ამბების მოპოვების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი სისტემაა. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქმედითი, როდესაც ობიექტური, დამოუკიდებელი, საიმედო , საჭირო და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფს აუდიტორიას. უმთავრესი პრინციპი ისაა, რომ ჟურნალისტიკამ ადამიანები უნდა უზრუნველყოს ინფორმაციით, რომელიც მათ სჭირდებათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს :

1. ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებდეს.
2. ჟურნალისტიკა, პირველ რიგში, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს.
3. ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა.
4. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს.
5. ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებელი.

6. ჟურნალისტიკა ხალხს საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის საშუალებას უნდა აძლევდეს.
7. ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურალისტმა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა წარმოადგინოს.
8. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორციულობა და ეს ინფორმაცია ყოველმხრივი უნდა გახადოს.
9. ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე.

ამ სტანდარტების დაცვა ყველა მედიასაშუალების მოვალეობაა, თუმცა ზოგიერთი მათგანი ამას იშვიათად ან სრულიადაც არ ითვალისწინებს. ავრცელებს არასწორ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას. გაზეთ „გორის მაცნეს“ ამას ვერ დავწამებთ, რადგან აქ ინფორმაცია ხშირად წინასწარ არის მოძიებული, დადასტურებულია კონკრეტული სამინისტროებისა თუ პასუხისმგებელი პირების მიერ. გაზეთი და ჟურნალი არის ნაბეჭდი დოკუმენტი და მკითხველისათვის მისი საიმედოობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ, რასაც არ ითვალისწინებენ კომერციული გაზეთები და ჟურნალები. ისინი, რომლებიც დამოკიდებული არიან ფინანსურად პროექტებზე ან კერძო მესაკუთრეზე(პოლიტიკური პარტია, ბიზნესმენი, კერძო კომპანია და ა.შ.). ისინი დაკვეთით აქვეყნებენ სტატიებსა და სხვა სახის არც თუ ისე იშვიათად არასწორ ინფორმაციასაც. გაზეთი „გორის მაცნე“ არ არის მსგავსი ტიპის. მას არ აქვს კომერციული გათვლები და შესაბამისად, მკითხველს მაქსიმალურად გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდის, იმას, რაც რეალურად არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე. გაზეთის მკითხველისათვის მისი საიმედოობა უპირველესია, განსაკუთრებით, უფრის ასაკის მოსახლეობაში არის გაზეთის მიმართ დიდი ნდობა. ის, რომ გაზეთში ეწერა, მათთვის დოკუმენტივით არის . სწორედ ამიტომ გაზეთის რედაქტორი თვლის, რომ მკითხველის ეს განწყობა და დამოკიდებულება არ უნდა დაიკარგოს გაზეთის მიმართ.

გაზეთის სხვადასხვა ნომერში მრავლად არის სტატიები მოსახლეობის ყოფითი პრობლემების შესახებ. გაზეთი ეხმაურება ყველა მნიშვნელოვან მოვლენასა და თარიღს, ასახავს, საერთოდ, ქვეყანაში არსებულ აქტუალურ პრობლემებს და იმას, თუ რამდენად ეხება ესა თუ ის კონკრეტული პრობლემა შიდა ქართლს.

ერთ-ერთი ასეთი თემაა ფემიციდის შემთხვევათა მატება, რაც ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობისა და ძალადობის ფაქტებს გულისხმობს. ეს პრობლემა აქტუალურია შიდა ქართლშიც და, შესაბამისად, გაზეთი „გორის მაცნეც“ ამახვილებს ყურადღებას. აქ განხილულია პრობლემა, რისკები და არსებული რთული მდგომარეობა. აქვე ვკითხულობთ, როგორ შეიძლება თავის დაცვა ძალადობისაგან, ვის და სად უნდა მიაკითხონ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და ა.შ. ეს სტატია უდავოდ საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

გაზეთი, როგორც მოგახსენეთ ხშირად აძლევს მკითხველს სასარგებლო რჩევებს სხვადასხვა თემაზე. მაგალითად: იმის შესახებ, თუ როგორ გავარჩიოთ გენნმოდიფიცირებული და ნატურალური პროდუქტი ერთმანეთისაგან, აგრეთვე ორიგინალი და დაპატენტებული პროდუქტი, რომელ ბოსტნეულს რა სასარგებლო თვისება აქვს და ა.შ. ყოველივე ეს დიასახლისების საყვარელი საკითხავია, რადგან აქ ნახავთ როგორც სასარგებლო რჩევებს, აგრეთვე გემრიელ კულინარიულ რეცეპტებსაც.

გაზეთის სხვადასხვა ნომერში აქტიურად არის განხილული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების მართვის მეთოდები. ერთ-ერთია სტატია ახალგაზრდებთან შეხვედრის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა მათი ცნობიერების ამაღლებას ნარჩენებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი თემატიკის სტატიებს შესაბამისი დარგის პროფესიონალებიც წერენ.

2019 წლის პირველსავე ნომერში გაზეთი სასიამოვნო ინფორმაციას გვაწვდის პენსიის 20 ლარით ზრდასთან დაკავშირებით. მოსახლეობა ამ სიახლეს პოზიტიურად შეხვდა, თუმცა 20 ლარით ზრდა არასაკმარისია არსებულიფასებიდან და გადასახადებიდან გამომდინარე. სტატიაში, აგრეთვე,საუბარია საპენსიო რეფორმაზე, რაც გულისხმობს დასაქმებული მოქალაქის თვიური ხელფასის 2%-ის გადარიცხვას საპენსიო ფონდში. მოსახლეობამ ეს სიახლე არაერთგვაროვნად მიიღო. ზოგიერთი პოზიტიურად არის განწყობილი დაგროვებითი პენსიის მიმართ, ზოგიც კი სკეპტიკურად. გაზეთმა ,რასაკვირველია, ორივე მხარის პოზიცია წარმოგვიდგინა.

გაზეთი „გორის მაცნე“ მუდმივად გვაწვდის ინფორმაციას მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ადგილობრივ თვითმმართველობაში. გვაცნობს პიროვნებას, გვაწვდის ინფორმაციას მის შესახებ, მანამდე რას საქმიანობდა, როგორი განათლება, კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვს. შესაბამისად, მოსახლეობას წარმოდგენა ექმნება ახლად დანიშნულ მოხელეზე.

რაც შეეხება პოლიტიკურ ამბებს, გაზეთი გადმოსცემს ორივე მხარის პოზიციას და არის მიუკერძოებელი. აქვეყნებს როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელთა მოსაზრებებსა და კომენტარებს.

აქ ნახავთ სტატიას იმის შესახებ, რომ დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა გორის მინიციპალიტეტის დროშისა და გერბის საკითხი და შესაბამისი სიმბოლიკა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს გადაეგზავნა დასამტკიცებლად.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაანონსებული შეხვედრების შესახებ წინასწარ მოძიებული ინფორმაციაც გვხვდება გაზეთში, ეს მათთვის, ვისაც სურს, რომ დაესწროს აღნიშნულ შეხვედრას და გამოთქვას საკუთარი აზრი.

„გორის მაცნეს“ გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ ის ადგილობრივი გაზეთია და საერთო საქვეყნო საკითხები განსხვავებულად უნდა გააშუქოს. მაგალითად, როცა ის აქვეყნებს ინფორმაციას საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შესახებ, იქვე ბეჭდავს ამ გამარჯვების დამადასტურებელ პროცენტულ მაჩვენებლებს შიდა ქართლის ოლქებში (გორი, ხაშური, ქარელი,კასპი).

2018 წლის ბოლო ნომერი(24-30 დეკემბერი), ძირითადად, წლის შეჯამებას ეძღვნება.პირველ გვერდზე დაბეჭდილია ინტერვიუ გორის მერთან კონსტანტინე თავზარაშვილთან, რომელიც გორში განხორციელებულ პროექტებზე, დაძლეულ წინააღმდეგობებსა და მიღწევებზე საუბრობს, აგრეთვე, აფასებს როგორი იყო ეს წელი გორისა და მისი მოსახლეობისათვის.

ერთ - ერთ სტატიას გაზეთი საბავშვო სათამაშოების პრობლემას უთმობს. ამ შემთხვევაში, პრობლემაც დასმულია, მისი აქტუალურობაც დასაბუთებული და

გადაჭრის გზებიც მოძებნილი. აქ მოცემულია ექიმისა და სპეციალისტების რჩევები შესაბამისი სფეროდან.

მოსახლეობას, ბუნებრივია, სამედიცინო კუთხითაც სჭირდება ინფორმაციის მიწოდება, იქნება ეს ზოგადი საკითხები, თუ კონკრეტული მომენტისთვის გავრცელებული დაავადება ან ვირუსი. გაზეთი ცდილობს, მოსახლეობას გარკვეულწილად მაინც შეუმსუბუქოს მდგომარეობა. გაზეთის წარმომადგენლები წინასწარ ეცნობიან მოსახლეობისთვის ყველაზე საჭირბოროტო კითხვებსა და თემებს. შესაბამისად, პასუხებისათვის სხვადასხვა სამედიცინო ცენტრს მიმართავენ. მაგალითად, ერთ-ერთი სტატია მიეძღვნა გავრცელებულ ინფექციურ დაავადებას - „წითელას.“ მასში საუბარია იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო დაავადების პრევენციისა და შედგომი მკურნალობისათვის. მითითებულია, სად უნდა აიცრან,და როდის. ამ მასალის გაცნობის შემდეგ, მკითხველს შესაძლოა, აღარც დასჭირდეს ექიმთან კონსულტაცია.

გაზეთი ინფორმაციას აწვდის მკითხველს მერიის სოციალური სამსახურის შესახებ. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს როგორ და რა პირობებით ეხმარებიან, რა თანხებია გამოყოფილი, წელიწადში რამდენჯერ შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი პროგრამით, როგორ უნდა მიიღონ დახმარება და სხვა მრავალი დეტალი.აგრეთვე, ინფორმაცია მრავალშვილიანობასთან დაკავშირებით, რამდენი შვილის ყოლა ითვლება მრავალშვილიანად, რადგან ყველა მუნიციპალიტეტში ეს სხვადასხვაა, ერთიანი კანონი ამის შესახებ არ არსებობს. ეს განისაზღვრება მუნიციპალიტეტის შემოსავლის მიხედვით. გაზეთი გვაწვდის მერიის სოციალური სამსახურის პროექტებისა და პროგრამების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რაც ვფიქრობთ დროის დაზოგვისა და საქმის კურსში ყოფნის კარგი საშუალებაა.

სოციალურად დაუცველთათვის ქალაქში ბევრი რამ კეთდება და გაზეთი, რასაკვირველია, ამ თემასაც არ უვლის გვერდს და ჭრა-კერვის მოდელირების შემსწავლელი კურსების შესახებ გვაუწყებს. ეს კურსები იქნება სრულად დაფინანსებული. სტატიაში მოცემულია პირობები, ვის და როგორ შეუძლია მიიღოს

მონაწილეობა ამ პროგრამაში დამითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. მომდევნო ნომერში კი გაზეთი გვამცნობს ამ კურსის რეალურად დაწყების შესახებ. მომდევნო ნომერში (დაწყებიდან ორი თვის შემდეგ) კი ამ კურსის შედეგების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, გვაუწყებს რომ 4 ბენეფიციარი უკვე დასაქმდა.

გაზეთი ,, გორის მაცნე" არა მხოლოდ შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს, არამედ საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებსაც ეხმაურება. ამის დასადასტურებლად მოგვყავს სტატიის სათაური გაზეთის ამავე ნომრიდან ,,პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი თერმილან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა". მოცემული სათაურის ქვეშ საკმაოდ საინტერესო სტატიაა , რედაქტორის ია თინიკაშვილის ავტორობით, სადაც კარგად არის ასახული რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელი სტრუქტურებია ჩართული პრობლემის მოსაგვარებლად, რას ითხოვს პანკისში მოსახლეობა და ა. შ. ვფიქრობ, ეს მოვლენა ყველასთვის კარგად ნაცნობია და ამაზე დაწვრილებით ინფორმაციას აღარ მოგაწვდით. ის, რომ გაზეთი ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან ფაქტებსაც აშუქებს, ადასტურებს ისიც, რომ აქ ვხვდებით ინფორმაციას თურქეთთან საზღვრის გადაკვეთის წესების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც გავლენას მოახდენს ქართველ მოქალაქეებზე.

გაზეთში მრავლად არის კრიმინალურშემთხვევებთან და დანაშაულთან დაკავშირებული სტატიები.

ერთ-ერთი სტატია ეხება გორის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდის, 18 წლის თორნიკე მერებაშვილის გარდაცვალებას. მომხდართან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია გავრცელდა და დაიწყო გამოძიება. მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა სტატია მკვლელობის გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. გარდაცვლილის მშობლებმა და ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს გორში. აქვე გაზეთი გვამცნობს, რა მუხლით მიმდინარეობს გამოძიება და რა ეტაპზეა ამჟამად.

ერთ - ერთ ყველაზე მძიმე და მტკივნეულ თემას ეხმაურება გაზეთი "გორის მაცნე." ესარის ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმე, მისი გამოძიება და მოკლული მოზარდის მამის პროტესტი. თბილისში დაიწყო აქციები მკვლელობის სამართლიანად გამოძიებასა და დამნაშავეთა დაპატიმრების მოთხოვნით. გაზეთი ასეთ

მოვლენებს გვერდს ვერ აუვლიდა. „გორის მაცნეს“ დამოკიდებულება და პოზიცია ამ თემის მიმართ, გააშუქოს ყველა აქტუალური და მნიშვნელოვანი მოვლენა,უდავოდ, მოსაწონია.

შემზარავი მკვლელობა გორში- გაზეთ „გორის მაცნეში“ 9 წლის გოგონას სასტიკი მკვლელობის შესახებ გამოქვეყნდა სტატია, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია გოგონას გაუჩინარების, მისი პოვნისა და ბრალდებული მამაკაცის დაკავებასთან დაკავშირებით.

სტატიაში ბევრი ფაქტია იმის შესახებ, რომ ბრალდებული უთვალთვალებდა გოგონას, ჰქონდა მისი ფოტოები, ის, რომ ბრალდებული ორჯერ არის ნასამართლევი. ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა მიესაჯა, თუმცა თავად არ აღიარებს დანაშაულს და დუმილის უფლებას იყენებს. მიმდინარეობს გამოძიება.

მომდევნო ნომერში ნახავთ სტატიას საქმის გამოძიების მსვლელობის დეტალებზე, საიდანაც ირკვევა, რომ ბრალდებულმა 14 წლის წინათ გაუჩინარებული 11 წლის ბიჭის ცხედრის ადგილსამყოფელი გაამხილა. ამასთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს გამოძიება გორის კულტურისა და დასვენების პარკში. მომდევნო ნომერში კი მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით გვამცნობს გაზეთი, რომპარკში გათხრები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ შედეგი არ არის ჯერჯერობით.მომდევნო ნომრებში კიდევ გრძელდება საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და მტკივნეული თემის გაშუქება. აქ საუბარია ბრალდებულის წინააღმდეგ მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ. ამ დეტალებზე განგებ არ ვამახვილებთ ყურადღებას, თუმცა სტატიაში ყველაფერი ეს კარგად არის ასახული.

2019 წლის მაისის ბოლო ნომერში კი გამოქვეყნდა სტატია ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯასთან დაკავშირებით. გვინდა ავღნიშნოთ, რომ ამ დრომდე გაზეთში გამოქვეყნებულ არცერთ სტატიაში არ ყოფილა დამნაშავედ მოხსენიებული იაგო ნებიერიძე, მას იხსენიებდნენ როგორც ბრალდებულს. მიუხედავად იმისა, რომ თემა ასეთი მგრძნობიარე და ჟურნალისტის სუბიექტური დამოკიდებულებაც რასაკვირველია მის მიმართ იქნებოდა ისეთი, როგორიც ყველა სხვა მოქალაქისა. მაგრამ პროფესიონალი ჟურნალისტი აცნობიერებს

ამას და აღიარებს, რომ აბსოლუტური ობიექტურობა მიუღწეველია. მაგრამ პროფესიონალმა ჟურნალისტმა იცის , როგორ გამოიყენოს პროფესიული სტანდარტები, რათა თავისი არაობიექტურობა დაძლიოს. იგი ცდილობს, იყოს დაბალანსებული. იმის დასადასტურებლად, რომ ფაქტები არ უნდა იყოს დამახინჯებული, მინდა, მოვიყვანო „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველისენტონი ლუისის : „ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ ფაქტებს ყველაფერზე მაღლა უნდა აყენებდეს“ და „მანჩესტერ გარდიანის“ (დიდი ბრიტანეთი) რედაქტორის ს. სკოტის სიტყვები, რომლებიცფორმულასავით ჟღერს: „კომენტარი თავისუფალია, მაგრამ ფაქტი წმიდათაწმიდაა.“

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომლებიც შიდა ქართლსა და მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარეობს. მათ შორის არის ბობნევიდან ბოშურამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელიც მაისში დასრულდა. ეს იმიტომ გამოვყავით, რომ გზა რომელიც განახლდა მნიშვნელოვანია ზოგადად გორის და მითუმეტეს ამ რაიონის მოსახლეობისათვის, რადგან ეს ადგილი (ბოშური) არის ტურისტული ზონა და ამ გზის რეაბილიტაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აქ ტურიზმის განვითარებისათვის.

2018 წლის 14 იანვრის ნომრის მესამე გვერდი თითქმის სრულად ეთმობა კულტურისა და განათლების საკითხებს. აქ გაიგებთ, როგორ ჩაიარა საშობაო კვირამ თოვლის პაპისა და მის მიერ ბავშვებისთვის გადაცემული საჩუქრების შესახებ, რამაც ძალიან გაახარა ბავშვები, აგრეთვე, საშობაო ფესტივალის - ,, გენეთლიას“ შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უკვე თორმეტი წელია, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია მასპინძლობს. რაც შეეხება ბოლო გვერდს, მთლიანად ეთმობა სპორტის სიახლეებს, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან ორი ახალგაზრდა - თანაკლასელები იოსებ ტლაშაძე და ზაურ დვალიშვილი - მონაწილეობდა სახალხო შოუ ,, ნიჭიერში“, რომელთაც საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს პროექტში, ორივე მათგანი გადავიდა ფინალურ ტურში, მათ ჟიურისა და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურეს.

გაზეთი „გორის მაცნე“, როგორც უკვე ითქვა, გვაწვდის უხვ ინფორმაციას შიდა ქართლის კულტურული ცხოვრებისა და განათლების სფეროდანაც. მაგალითად, ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ . როდის იწყება? რა არის საჭირო რეგისტრაციისთვის? რა უნდა იქონიონ თან და რა ეტაპები ექნებათ გასავლელი აპლიკანტებს გამოცდების დაწყებამდე. მსგავსი სახის ინფორმაცია უდავოდ ძალიან საჭიროა აბიტურიენტებისათვის, მით უფრო, რომ აქვეა მოცემული გამოცდების თარიღები. გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებს საგამოცდო განრიგის შეცვლას, რაც მაღალმა ტემპერატურამ განაპირობა. სტატიაში ნათქვამია, რომ საგამოცდო ცენტრებში დამონტაჟდება კონდინციონერები. გაზეთი ამ თემას კვლავ გამოეხმაურა, ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებისთანავე გამოაქვეყნა ინფორმაცია შესაბამისი ფოტომასალით, თუ როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესი და როგორ გულშემატკივრობენ აბიტურიენტებს მშობლები, ახლობლები, თუ მეგობრები. აქვეა ინტერვიუები აბიტურიენტებთან, რომლებიც ტესტების სირთულის ხარისხზე საუბრობენ. გაზეთმა სტატია ეროვნული გამოცდების შედეგებსაც მიუძღვნა. აქ მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ პროცენტულად რამდენმა აპლიკანტმა ჩააბარა გამოცდა, რამდენმა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რამდენი მიიღებს სახელმწიფო გრანტსა და დაფინანსებას.

რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა შიდა ქართლთან დაკავშირებული სტატისტიკა, მაგრამ მის მოპოვებას გაზეთი ადვილად ვერ მოახერხებდა.

გორში ყოველწლიურად იმართება კომედიის ფესტივალი, რაც ძალიან სასიხარულო ღონისძიებაა გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც უყვარს თეატრი. ეს ფესტივალი, ტრადიციულად, საზეიმო ღონისძიებებით გაიხსნა, მასში მონაწილეობდნენ ქუჩის მსახიობები. ამ ფესტივალს მასპინძლობს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. სტატიაში მოცემულია კომედიის ფესტივალის აფიშა და მკითხველს საშუალება აქვს, გაეცნოს ინფორმაციას, თუ რომელი ქალაქის დასი რომელ დღეს გამართვას სპექტაკლს და რომელ საათზე. „დავუბრუნოთ ღიმილი ნაომარ ქალაქს“-ასეთია ფესტივალის დევიზი.

გორში იაპონური კინოს ფესტივალი გაიმართა, რასაც, რასაკვირველია, გამოეხმაურა გაზეთი „გორის მაცნე“ და კინოაფიშას გაზეთის თავფურცელი(პირველი გვერდი) სრულიად დაუთმო.

გორი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და წარმატებული ქალაქია საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბუნებრივია, გაზეთიც ასახავს გორელთა სპორტულ მიღწევებს. ცდილობს, გააცნოს მოსახლეობას წარმატებული სპორტსმენები. ბირთვის კვრა სპორტის კიდევ ერთი სახეობაა, რომელიც არც ისე ცნობილია, მაგრამ გორში მისი ოსტატიც გვყოლია - 20 წლის გიორგი მუჯარიძე. ის საქართველოს რეკორდსმენია და ევროპის ჩემპიონიც გახდა. რასაკვირველია პატარა ქალაქისთვის ეს დიდი წარმატება და სიხარულია. ამის შესახებ სტატია „გორის მაცნის“ ბოლო გვერდზეა გამოქვეყნებული .

გაზეთმა ამცნო მოსახლეობას კიდევ ერთი სასიხარულო ფაქტი: ჭიდაობის გაერთიანებულმა მსოფლიო ორგანიზაციამ (UWW) გამოაქვეყნა ახალი რეიტინგული სია და, როგორც მოსალოდნელი იყო, გორელი მოჭიდავეები ლიდერთა შორის არიან. მძიმე წონით კატეგორიაშისაუკეთესოთა შორისაა გენო პეტრიაშვილი, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, ხოლო თავის წონით კატეგორიაში მესამე საფხურზეა ოლიმპიური ჩემპიონი ლადო ხინჩეგაშვილი. აქვეა ინფორმაცია გორელ მოჭადრაკე დავით მაღალაშვილზე, რომელიც საბერძნეთში სალონიკის ტურნირის ვიცე-ჩემპიონი გახდა. როგორც ხედავთ, გაზეთი სპორტის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორისარის სტატია საფეხბურთო კლუბის გორის ,,დილას“ შესახებ, რომელიც საკმაოდ ინფორმაციულია და შეგვიძლია გავეცნოთ როგორ მიმდინარეობს მზადება შემდეგი ჩემპიონატისთვის, ვინ არის მწვრთნელი, რომელი ფეხბურთელი დაემატა გორის ,, დილას“ და ა. შ. ეს ინფორმაცია ფეხბურთის მოყვარულთ ძალიან დააინტერესებდათ.

ადგილობრივ მკითხველს ძალიან გაახარებს ის ფაქტიც, რომ ქალაქს საკუთარი რაგბის გუნდი ჰყავს - ,,გორის ჯიქი,“ რომლებმაც ეს სეზონი გამარჯვებით დაიწყეს და გაზეთმაც ამცნო გორელ ქომაგებს ამ სასიხარულო ფაქტის შესახებ. მომდევნო ნომრებში ნახავთ ინფორმაციას გორელ მორაგბეთა წარმატებაზე.

მნიშვნელოვანი სპორტული სიახლე არის გორელი დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის დასახელება წლის საუკეთესო მწვრთნელად. სტატიაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ეს ჯილდო საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მას 2015 წელსაც მიანიჭა.

რაც შეეხება ახალ ამბებს(ნიუსებს), როგორც აღინიშნა, „გორის მაცნე“ ნაკლებად ოპერატიულია , რადგან არის ყოველკვირეული, თუმცა, ის მაინც ცდილობს, იყოს მეტ-ნაკლებად ოპერატიული და კვირას მომხდარ მოვლენებს ორშაბათის ნომერში აშუქებს.

გაზეთის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს მისი დამოუკიდებლობა. „დამოუკიდებელ პრესაში ჩვენ ვგულისხმობთ პრესას, რომელიც არ ექვემდებარება სამთავრობო, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კონტროლს, ანდა გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამოშვებისა და გავრცელებისათვის საჭირო მასალების მიმწოდებლებსა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გავლენას“. (1991 წლის „იუნესკოს“ დეკლარაცია). როგორც უკვე მოგახსენეთ, „გორის მაცნე“ დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ, მაგრამ ამის მიუხედავად, რედაქტორს არასდროს შეუთანხმებია გასაშუქებელი მოვლენები ან კომენტარი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალია პოლიტიკური ზეგავლენისაგან. რედაქცია იცავს „წონასწორობის ოქროს წესს“ : „ჟურნალისტიკა წინ უნდა უძღოდეს საზოგადოებას და იმავდროულად, კვალში უნდა მისდევდეს მას.“

საინტერესო ამბები

ჟურნალისტიკის და შესაბამისად, გაზეთისა და ჟურნალის ერთ-ერთი ფუნქცია არის რეკრეაციული. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაზეთის ბოლო გვერდზე გვხვდება სხვადასხვა სფეროდან მოძიებული საინტერესო ფაქტები, რომლებიც შესაძლოა, საუკუნის წინანდელიც და უფრო ხანდაზმულიც კი იყოს. გაზეთმა უნდა მიიზიდოს მკითხველი და დააინტერესოს. ამ ფუნქციასაც ასრულებს გაზეთი „გორის

მაცნე'' თითქმის ყველა ნომრის ბოლო გვერდზე ნახავთ ასეთსათაურებს: „მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კრიმინალები", „აღდგომის ყვავილი'', „ტიტანიკის" ჩაძირვიდან 106 წელი გავიდა"... ამ რუბრიკას ნამდვილად ეყოლება თავისი მკითხველი. აგრეთვე, ნახავთ რელიგიურ სიუჟეტებსა და ამბებს. „გორის მაცნეში" ხშირად იბეჭდება საინტერესო პატერიკები რელიგიურ თემებზე. ეს არის ერთგვარი სწავლებები და იგავები.

2019 პირველი ნომრის ბოლო გვერდი სპორტის თემატიკითა და გასართობი მასალებითაა წარმოდგენილი. გათვალისწინებულია ასტროლოგიის მოყვარულთა ინტერესიც: გამოქვეყნებულია 2019 წლის ფინანსური ჰოროსკოპი ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით.

მხოლოდ „გორის მაცნეში"...

მხოლოდ გაზეთ „გორის მაცნეში" ნახავთ ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მანამდე კი გაზეთი ბეჭდავს ბიუჯეტის განხილვის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნავს, რომ განხილვაში მონაწილეობა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. აქ მოცემულია, რა თანხებია გამოყოფილი სხვადასხვა სამსახურებისთვის და პროექტებისთვის , პროგრამებისთვის, საბავშვო ბაღებისათვის და ა.შ. ეს ინფორმაცია კი საინტერესოა თითოეული მოქალაქისათვის. მომდევნო ნომერში ნახავთ უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტს სრულად და დეტალურად. ამ ნომერში ჩამატებულია ორი ფურცელი, რომელიც მთლიანად ეთმობა ბიუჯეტს.ასეთი ინფორმაცია სხვა არცერთ მედიასაშუალებაში არ იბეჭდება და, რასაკვირველია, ტელევიზიებიც არ გადმოსცემენ. გაზეთშიეს პუბლიკაცია უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობას. აქ დეტალურად არის ჩაშლილი, რა თანხები იყო გამოყოფილი 2018 წელს და რა იქნება 2019 წლისათვის. თითოეული დეტალი წარმოდგენილია შესაბამის ცხრილებში.ცხრილების საშუალებით.

ნომრიდან ნომერში...

გაზეთ „გორის მაცნეს“ კიდევ ერთი თვისება გამოარჩევს: მნიშვნელოვან პრობლემას ნომრიდან ნომერში „მიჰყვება.“ აქ ხშირად შეხვდებით ერთი კვირის წინათ დაბეჭდილ სტატიაში წამოჭრილ პრობლემაზე მსჯელობის მეორე კვირის ნომერში გაგრძელებას. მაგალითად, ასეთია საქართველოსა დათურქეთს შორის არსებული საზღვრის გადაკვეთის წესების შეცვლა. პირველი სტატია თუ ეხებოდა პრობლემას, მეორე ნომერში საუბარია ამ პრობლემის დროებით მოგვარების შესახებ. გორის მუნიციპალიტეტიდან ბევრი ადამიანი არის დასაქმებული თურქეთის ტერიტორიაზე, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია აქტუალურია.

გაზეთს არც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები გამორჩა მხედველობიდან. მკითხველს გააცნო საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადება მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე, რომ ეს არ ნიშნავს ლეგალიზაციას და რომ ყველაფერი კანონის ჩარჩოშიჯდება. მომდევნო ნომერში კი ვნახავთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „მარიხუანას მოხმარება იკრძალება ყველგან, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილისა“. სტატიაში მითითებულია ადგილები, სადაც მარიხუანასა და კანაფის მოხმარება გამოიწვევს ამ ქმედების ჩამდენ პირთა დაჯარიმებას. სტატიაში ჯარიმების ოდენობაზეც არის ინფორმაცია.

საქართველოში ძალიან მწვავედ დგას გარემოს დაბინძურების პრობლემა. ამასთან ბრძოლა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო. პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია იკრძალება. ამ თემასთან დაკავშირებით,გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ ოქტომბრიდან პოლიეთილენის პარკების მოხმარება იკრძალება. სტატიაში მოყვანილია სამინისტროს განცხადება, სადაც აღნიშნულია, თუ რამდენად დიდ ზიანს აყენებს პლასტიკის პარკები გარემოს. მოცემულია პარამეტრები, რომლებშიც უნდა ჯდებოდეს ახალი რეგულაციებით

წარმოებული და რეალიზებული პარკები. მომდევნონომერში კი გაზეთი დეტალურად გვაწვდის ინფორმაციას შემდეგი რეგულაციების შესახებ: როგორი პარკები დარჩება რეალიზაციაში (ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი) და როგორი არა, რომელთა გამოყენების შემთხვევაში შესაბამისი სამახურებისაგან მიიღებენ სანქციებს მისი მწარმოებელი, იმპორტიორი და რეალიზატორი. ამის კონტროლს განახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. გარდა ამისა, გაზეთში მოცემულია, რომ გაურკვეველია, რამდენად არიან ინფორმირებული, ამასთან დაკავშირებით, სავაჭრო ობიექტები.

23-29 აპრილის ნომერი მკითხველს აუწყებს, რომ 8 მაისიდან გარევაჭრობა იკრძალება. ამ თემას გაზეთი რამდენიმე ნომერში შეეხო. ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა ქალაქისათვის, რადგან გარევაჭრობის დროს ქვეითებს ექმნებათ პრობლემა და იერსახეც მახინჯდება. გარემოვაჭრეებს მერია სამუშაოდ ალტერნატიულ ფართს სთავაზობს დასათანადო ვადასაც აძლევს. მომდევნო ნომერში კი დაბეჭდილია სტატია გარემოვაჭრეთა დახლების დაშლისა და მათი პროტესტის შესახებ. ნათქვამია, რომ ამ ფაქტზე მოსახლეობას აზრი ორად არის გაყოფილი. მოსახლეობის ნაწილი გარემოვაჭრეთათვის უფლების დატოვებას უჭერს მხარს, რათა მათ ჰქონდეთ შემოსავლის წყარო. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ მერიის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ფართით უნდა ისარგებლონ მოვაჭრეებმა და იქ გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა. გარემოვაჭრეები ამას არ დასთანხმდნენ და გააგრძელეს პროტესტი. გაზეთმა კი გადმოსცა პრობლემის დროებითმოგვარების შესახებ ინფორმაცია. მერიამ მათ ორი თვით მისცა უფლება, რათა გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გაფრთხილების ბარათებიც დაურიგა მაღაზიებს, რათა აღარ გამოიტანონ პროდუქტი ქუჩაში.

2018 წლის 14 იანვრის ნომერში მთავარია სოციალური საკითხი: ,,გორელების ბრალდებები ,,სოკარ ჯორჯია გაზის“ წინააღმდეგ.“ მოსახლეობამ გამართა აქცია. საქმეში ჩაერია გორის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო და ენერგო ომბუდსმენი სალომე ვარდიაშვილი, რომელმაც მოსახლეობას სამართლებრივი დავის დაწყება ურჩია. ეს თემა ძალიან აწუხებდა გორის მოსახლეობას და მასალის პირველ გვერდზე

მთავარ თემად განთავსება ხაზს უსვამს გაზეთის პოზიციას, რომ ის ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებითა და მათ მოგვარებაში ხელშეწყობით არის დაინტერესებული. ამ ნომერშივე ნახავთ ადგილობრივი თვითმმართველობის რეორგანიზაციის საკითხებს, საკრებულოში მიმდინარე მოვლენებს, მერიაში არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც მოსახლეობის ინტერესს იწვევს.

საქართველოში ტარდება მსოფლიოში ცნობილი კონკურსი - „X ფაქტორი", სადაც გორის გოგონათა გუნდიც მონაწილეობს. გაზეთ „გორის მაცნეში" პირველსავე გვერდზეა ინფორმაცია ამის შესახებ. აღნიშნულია მათი წარმატება და ფინალურ ტურში მოხვედრა, აგრეთვე, ნათქვამია გულშემატკივართან დაგეგმილ შეხვედრაზე. მომდევნო ნომრებშიც ნახავთ კონკურსის მიმდინარეობისა და მასში მოცემული გუნდის მონაწილეობასთან დაკავშირებულ სტატიებს.

პრობლემები

გაზეთს ჰქონდა ძალიან მწირი დაფინანსება. შესაბამისად, ამ ფონზე საქმიანობის ჯეროვნად შესრულება ძალიან რთულია. ახლა გაიზარდა დაფინანსებაც. გაზეთს ჰქონდა გავრცელების პრობლემა, თუმცა, ესეც ნაწილობრივ მოაგვარეს. ახლა გაზეთი იგზავნება ბიბლიოთეკებში, უნივერსიტეტში, იწერენ სკოლები, ვრცელდება გორის რაიონის სოფლებში. ზოგჯერ გაზეთს სტამბასთან აქვს ხოლმე პრობლემა. სტამბის შერჩევა ხდება ტენდერის მიხედვით და უკვე შერჩეულის გამოცვლა პრობლემების ან უკმაყოფილების შემთხვევაში, დაკავშირებულია მთელ რიგ უსიამოვნებებთან. მაგალითად, ამან შესაძლოა, შეაფერხოს რამდენიმე ნომრის გამოცემა და ასე შემდეგ.

გეგმები

იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტმა გადაფარა ყველა სფერო, რედაქტორმა გადაწყვიტა, შექმნან გაზეთის ელექტრონული ვერსია, რომლის გაცნობასაც ყველა დაინტერესებული ადამიანი შეძლებს. უკვე დაწყებულია „ გორის მაცნეს “ ვებ-გვერდის მომზადება. ვებგვერდზე განთავსდება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გაზეთშიც დაიბეჭდება, ამით უფრო მეტად ოპერატიული იქნება გაზეთი. ასევე, გაკეთდება ფეისბუქის გვერდიც და მობილური აპლიკაცია. აქედან გამომდინარე, რაც მოხდება დღეს, გაშუქდება დღესვე, ელექტრონული ვერსიით. ეს ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი 24 საათის განმავლობაში იქნება აქტიური. ეს ინფორმაცია ბევრად გაჯერებული იქნება და, რასაკვირველია,მოგვიანებით განთავსდება კვირის შესაბამის ნომერში. რედაქტორი აქაც ია თინიკაშვილი იქნება.

„გორის მაცნეს“ 2 წლის განმავლობაში ჰქონდა რედაქტორის სვეტი. იბეჭდებოდა პირველ გვერდზე დაა ძირითადად, იყო ფელეტონის ხასიათის. ია თინიკაშვილის თქმით, ეს ჟანრი მისი არჩევანი იყო, რადგან ფელეტონი ქართულ პრესაში თითქმის აღარ გვხვდება. რედაქტორის სვეტი ძალიან საინტერესო საკითხავი იყო. მის ნაცვლად, რედაქტორი სიახლეს ჰპირდება მკითხველს.

როცა „გორის მაცნე“ ექვს გვერდიანი იყო, ასეთი ერთ-ერთი რუბრიკა ჰქნდათ: ,,ერთი სოფლის ისტორია“. გორის მუნიციპალიტეტის სოფლებზე იბეჭდებოდა მასალები, რომელიც არცინტერნეტში იყო მოძიებული და არც წიგნებიდან იყო ამოწერილი. გაზეთის წარმომადგენლები უშუალოდ ჩადიოდნენ ყველა სოფელში, ხვდებოდნენ სოფლის უხუცესებს და ისტორიის კარგად მცოდნე ადგილობრივ მაცხოვრებლებს. მათგან კი უშუალოდ ისმენდნენ ისტორიებს სოფელში ძველად არსებულ, დავიწყებულ თუ დღემდე შემონახულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, გარდა ამისა, ნაგებობებზე, ლეგენდებზე, ზეპირსიტყვიერებებზე და ასე შემდეგ. რაც ძალიან საინტერესო იყო მკითხველისათვის. ამჟამად ეს რუბრიკა აღარ არის გაზეთში. რედაქტორი ფიქრობს, რომ უნდა დააბრუნონ ეს რუბრიკა გაზეთის ფურცლებზე.

წლების განმავლობაში, „გორის მაცნეს“ ერთი გვერდი მთლიანად ეთმობოდა ბავშვებს. სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ძალიან მცირე რაოდენობით გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება, ხოლო რაც გამოდის, საკმაოდ ძვირადღირებულია და ხშირად არ არის

გათვალისწინებული ის პირობები, რაც აუცილებელია საბავშვო გაზეთისა და ჟურნალისათვის. მაგალითად,მათ შორის, ინფორმაცია რომელიც აბინძურებს ბავშვთა გონებას, მასალა რომლითაც იბეჭდება (საღებავი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა). დღეს გაზეთები ძირითადად არ ითვალისწინებენ ამ ასპექტებს. „გორის მაცნეში“ არსებული საბავშვო გვერდი იყო საინტერესო და დახვეწილი. აქ იყო გამოცანები, თავსატეხები, გასაფერადებლები, ვიქტორინები პატარებისა და მოზრდილთათვის და სხვა ისეთი გასართობი თამაშები, რაც მათ გონებრივ განვითარებაზე ახდენდა გავლენას.

დღეს ეს ყველაფერი გადატანილია საბავშვო ჟურნალში „აი ია“ . ჟურნალი 24 გვერდიანია, 2 წელია, გორის ა(ა)იპი აფინანსებს და შესაბამისი სტანდარტებით არის დაბეჭდილი. ეს ეხება საღებავს, შრიფტის ზომას, თვალი რომ არ დაეღალოთ ბავშვებს, შესაბამისი სისქის ფურცლები და ასე შემდეგ. შემეცნებითი ჟურალი “აი ია“, რომელიც გათვლილია მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის თვეში ერთხელ გამოდის, რედაქტორია ია თინიკაშვილი და მისი ღირებულებაა ერთი ლარი. იყიდება საგაზეთო ჯიხურებში. აქ ნახავთ ინფორმაციას ადგილობრივი და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებისა და მიღწევების შესახებ, რაც მათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზაციის საშუალებას აძლევს. სწორედ ამის დადასტურება არის ის, რომ აქედან შეარჩიესოთხი ახალგაზრდა ევროკავშირის პროექტისათვის. აქ არის ბევრი ჩანახტი, მოთხრობა თუ ლექსი. ეს ჟურნალი ახალგაზრდებსა და ბავშვებს აძლევს საშუალებას გაიცნოს საზოგადოებამ, რაც მათ შემდგომ წარმატებაში დაეხმარებათ.

ოკუპაციის პრობლემის გაშუქება გაზეთ „გორის მაცნეში“

გაზეთის ძირითადი მკითხველი გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაა, ვისთვისაც ოკუპაციის თემა ყოველდღიური პრობლემაა, რასაც თანმდევი პრობლემებიც ახლავს. გასაკვირი არ არის, რომ „გორის მაცნე“ ამ თანამდევპრობლემებს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. ერთ - ერთი უმწვავესიაირიგაციის (სარწყავი

წყლის) და სასმელი წყლის პრობლემა. ცნობილია, რომ ცხინვალის რეგიონში მდებარე ზონკარის წყალსაცავიდან მარაგდებოდა გორის რაიონის სოფლები სარწყავი წყლით, სოფელ ვანათიდან კი - სასმელი წყლით. ოკუპაციის შემდეგ ამ სოფლებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ჭაბურღილები კი, რაც გაკეთდა, ვერ აწვდის მოსახლეობას საკმარისი რაოდენობით წყალს. ამიტომ წყალი გრაფიკით მიეწოდებათ. წყალი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აქამდე მოუგვარებელია ეს პრობლემა. სახნავ-სათეს მიწებზე, საძოვრებზე, რომლებიც ოკუპაციის ხაზს მიღმა მოექცა, მოსახლეობა მისვლას ვეღარ ახერხებს. ოკუპირებული სოფლების მოსახლეობას შეექმნათ მოწეული მოსავლის რეალიზაციის პრობლემაც. არადა ეს რეგიონი ომამდე საკმაოდ მაღალშემოსავლიანი იყო. ეს ყველაფერი ერთად ქმნის პრობლემების მთელ ჯაჭვს, რომელსაც მუნიციპალიტეტის მოსხლეობა აწყდება ყოველდრიურად.

შესაბამისად, გაზეთის რედაქტორი თვლის, რომ ამ მოსახლეობისათვის თითოეულ დეტალს ოკუპაციის თემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ხალხს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი და ყოველდღიურად ელოდებიან, რომ რეალობა იქნებ შეიცვალოს უკეთესობისკენ. ამიტომაც თითოეული დეტალი ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებები, მთავრობის გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით, ერგნეთში ინცინდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში მიმდინარე შეხვედრები აუცილებლად უნდა აისახოს გაზეთის ფურცლებზე. ეს სამშვიდობო ფორმატები, რომლებიც ახლა მოქმედებს, ფაქტია, რომ არ არის მაინცდამაინც შედეგიანი.

შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი „გორის მაცნე“ ოკუპაციის თემას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ოთხ გვერდიანია, თითქმის ყველა ნომერში ნახავთ ოკუპაციის თემასთან დაკავშირებულ სტატიას. ეს ეხება რუსული მხარის განცხადებებსა თუ ადამიანთა დაკავებას, დაპატიმრებას, გატაცებას, აგრეთვე მოლაპარაკებებს. გაზეთის ერთი ნომრის გაცნობაც კი საკმარისია, რომ მივხვდეთ გაზეთის მიზანს: როგორც ადგილობრივ, ისე მთელი ქვეყნის მოსახლეობას მუდმივად შეახსენოს, რომ ჩვენი ტერიტორიები კვლავ ოკუპირებულია და ეს არის თემა, რომელზეც გამუდმებით უნდა ვსაუბრობდეთ. მაშინ როდესაც ადამიანებს იტაცებენ, უკანონოდ აპატიმრებენ, აწამებენ და კლავენ, როდესაც

შინდისის გმირთა მემორიალზეა საუბარი, რთულია იყო ქართველი და ამ თემამ არ აგაღელვოს, პატრიოტიზმი არ გაგიღვიძოს. სწორედ ამიტომ გამოვყავით ეს თემა და ვთვლით, რომ გაზეთი სხვა ქალაქშიც, რომ გამოდიოდეს, მაინც აქტიურად გააშუქებდა ოკუპაციასა და მასთან დაკავშირებულ მტკივნეულ საკითხებს.

გორი არის ქალაქი, რომელმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანა ომიდა ახლაც განიცდის ოკუპაციის შედეგებს. რთულია აქ ცხოვრობდე დაოკუპაციის თემა არ გაღელვებდეს. ჩვენ ყველამ გამოვიარეთ ომი და ვიცით, რას ნიშნავს, მიატოვო საკუთარი სახლი და ეძებო შედარებით უსაფრთხო ადგილი, რომელიც იმ დროისთვის რთული მოსაძებნი იყო საქართველოში. უკვე ითქვა, რომ გაზეთის თითქმის ყველა ნომერში გვხვდება ოკუპაციის თემასთან დაკავშირებული ნიუსი ან სტატია. ისიც ითქვა, რომ გორში, ანუ საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე ქალაქში გამომავალი გაზეთისგან ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. გასაკვირი, ალბათ, არა, მაგრამ დასაფასებელი ნამდვილად არის, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის მრავალგვერდიანი და ყოველდღიური გაზეთები ამ თემას იშვიათად ახსენებენ და ძირითადად, პოლიტიკური და პირადული სკანდალების გაშუქებით არიან დაკავებული. ის კი, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა საქართველოსთვის (ტერიტორიული მთლიანობა), ხშირად ყურადღების მიღმარჩება.

„გორის მაცნეს“ გამოარჩევს ისიც, რომ ოკუპაციასთან დაკავშირებულ თემებს “ნომრიდან ნომერში“ განიხილავს. ეს გულისხმობს იმას, რომ გაზეთი მნიშვნელოვან მოვლენას მხოლოდ ერთხელ და მოვალეობის მოხდის მიზნითკი არ აშუქებს, არამედ მომდევნო ნომერშიც აუცილებლად უბრუნდება და გვამცნობს, როგორ მიმდინარეობს პრობლემის მოგვარება, რა ეტაპზეა ეს პროცესი ან მოვლენები როგორ განვითარდა და ასე შემდეგ. სწორედ ეს არის სტატიის დანიშნულება (პრობლემის დასმა, მისი აქტუალურობის დასაბუთება და გადაჭრის გზების ძიება), რასაც ნამდვილად ასრულებს გაზეთი „გორის მაცნეში“ დაბეჭდილი სტატიები. აღსანიშნავია, რომ აქ ხშირად შეხვდებით ერთი კვირის წინათ არსებული პრობლემის, მომხდარი მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებას. ასეთი მიდგომა, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია გაზეთის მკითხველისათვის. ეს დაეხმარება, მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია როგორც რეგიონში, ასევე ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი

ცვლილებებისა თუ სიახლეების შესახებ. სწორედ ასე თანამიმდევრულად აშუქებს გაზეთი ოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. გაზეთი ყურადღებას აქცევს, რომ შუა გზაში არ მიატოვოს პრობლემა, რომელზეც ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს და რომელზეც მსჯელობა - განსჯა ერთმა სტატიამ ვერ ამოწურა. შესაბამისად, ადამიანს, რომელიც კითხულობს გაზეთს, აინტერესებს და ელოდება, როგორ დასრულდა ეს თემა, როგორ გადაწყდა პრობლემა. აქედან გამომდინარე გაზეთი ჰაერში არ ტოვებს პრობლემას, თუკი ბოლომდე არ არის ამოწურული საზოგადოებრივი ინტერესი არსებული საკითხის მიმართ.

ოკუპაციის ერთ-ერთი თანმხლები პროცესია საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისათვის გადაადგილების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები და გატაცებები. ერთი კვირის განმავლობაში, 2018 წლის ივნისში, 7 ასეთი ფაქტი აღინუსხა. დაკავებულთა შორის იყო ერთი არასრულწლოვანიც. ამ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურა გაზეთი „გორის მაცნე“, ყურადღება გაამახვილა გატაცებულთა ვინაობაზე, სოფლებზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, მკითხველს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთდებდნენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები პრობლემის გადასაჭრელად. სტატიაში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ მესაზღვრეებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეც დაუკავებიათ ჩვენი მოქალაქეები, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა.

გაზეთს, ბუნებრივია, არ გამორჩენია არჩილ ტატუნაშვილის გახმაურებული წამებისა და მკვლელობის ფაქტი, რომელიც ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე მოხდა. ამ თემას საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა ია თინიკაშვილმა, სადაც საფუძვლიანად არის განხილული ორივე მხარის დამოკიდებულება მოცემული საკითხის მიმართ. სამი კვირის განმავლობაში იბეჭდებოდა სტატიები არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობისა და მისი ცხედრის გადმოსვენებასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს გამოეხმაურა ქართველ ბორჯღალოსანთა გუნდი მაისურებზე ტატუნაშვილის გვარით. რაც იყო სოლიდარობის მანიშნებელი, რასაკვირველია, გაზეთმა ამ მოვლენასაც მიუძღვნა სტატია. ასევე მკითხველს გააცნო ქვეყნის იმ დროინდელი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება, რომ საქართველოს ხელისუფლება, საერთაშორისო თანამეგობრობა და წითელი ჯვარი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა

დროულად მომხდარიყო ცხედრის გადმოსვენება. სტატიაში ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტია აღნიშნული. საუბარია თბილისში გამართულ აქციაზე „მშვიდობა ომზე მეტია“, ასევე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილი, სადაც რუსეთის პატრიარქ კირილეს სთხოვდა შუამდგომლობას, რათა ცხედარი დროულად დაბრუნებოდა ოჯახს და შესაძლებელი გამხდარიყო მისი ქრისტიანული წესით დაკრძალვა.

სტატიათა ციკლი მიუძღვნა გაზეთმა არჩილ ტატუნაშვილის თემას, მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენას, მის სხეულზე აღმოჩენილი ძალადობის კვალს, იმ ფაქტს, რომ სხეულზე 100-ზე მეტი დაზიანება აღენიშნებოდა. აქვე აღნიშნულია, რომ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას არ იზიარებდა არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის ადვოკატი და დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვდა. შეგახსენებთ, რომ ოსურმა მხარემ გარდაცვლილის ცხედარი ქართულ მხარეს 26 დღის შემდეგ, 20 მარტს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით გადმოსცა. კვლავ ტატუნაშვილის თემა. 11-17 ივნისის ნომერი. ამჯერად სტატია უკვე ბრალდებულების შესახებ. რა თქმა უნდა, დამნაშავეთა ვინაობა როგორც ადგილობრივ, ისე მთლიანად საქართველოს მოსახლეობას აინტერესებს. ესენი არიან ცხინვალის რეგიონის ეგრეთ წოდებული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები. ორ მათგანს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი, რომელიც 9-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, - ვკითხულობთ სტატიაში. აქვე მოცემულია საინტერესო ფაქტი ბრალდებულთა შესახებ. ადგილობრივთა ინფორმაციით, ისინი არ რიან მკვლელობაში დამნაშავენი, მათ მხოლოდ დააკავეს არჩილ ტატუნაშვილი და წამებაში სულ სხვა პირები მონაწილეობდნენ. მომდევნო ნომერში სტატია მიეძღვნა არჩილ ტატუნაშვილის გადმოსვენებასა და მის მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალვას. ამავე ნომერში არის ინფორმაცია ოკუპაციის მუზეუმსა და შინდისის გმირთა მემორიალის მშენებლობის დასრულების შესახებ.

გაზეთი „გორის მაცნე“ გამოეხმაურა იმ ფაქტს, როცა საოკუპაციო ხაზთან, სოფელ ახალ ხურვალეთთან, ეგრეთ წოდებულმა მესაზღვრეებმა დააკავეს 37 წლის მაია ოთინაშვილი. ამ თემაზე გამოქვეყნებულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ქალბატონის დაკავებასთან დაკავშირებულ დეტალებზე დანათქვამია, რომ მას ბრალი

წაუყენეს და პატიმრობა შეუფარდეს. ამავე სტატიაში ვკითხულობთ კიდევ ერთი დაკავებულის, 50 წლის აკაკი დოთიაშვილის შესახებ , რომელიც სოფელ კირბალის განაპირად დააკავეს. სტატიაში მოყვანილია პრემიერ - მინისტრის განცხადებაც იმის შესახებ, რომსაქართველოს ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ყველაფერს აკეთებს, რათა დროულად და უვნებლად მოხდეს დაკავებულთა გათავისუფლება. ამ ნომერშივეა სტატია პრემიერ-მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით, კონფლიქტის მოგვარების საკითხსა დაზოგადად რუსეთთან ურთიერთობაზე.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარი კიდევ ერთი დაკავების შესახებ გაზეთი ,,გორის მაცნე“ სტატიას გვთავაზობს სექტემბრის პირველსავე ნომერში. ამჯერად დაკავებულები არიან მოლაშქრეები, რომელთაც თრუსოს ხეობაში შემთხვევით გადაკვეთეს საზღვარი და რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს. სტატიაში აღნიშნულია ერთ-ერთი დაკავებულის განცხადება. ის ამბობს, რომ სამი დღე იმყოფებოდნენ ცხინვალის იზოლატორში, მაგრამ მათ მიმართ არც სიტყვიერ და არც ფიზიკურ შეურაცყოფას ადგილი არ ჰქონია. მათარც არაფერი დაუკარგავთ და გათავისუფლების შემდეგ ხელუხლებლად დაუბრუნდათ საკუთარი ნივთები.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც „გორის მაცნე“ აქვეყნებს ობიექტურ და სანდო ინფორმაციას მოცემულ თემაზე, ამ დროს სხვა ჟურნალ-გაზეთები და ტელემედიაც საკმაოდ არასწორად აშუქებენ მოვლენებს. ამ მოლაშქრეთა დაკავება, რომელთაც ნამდვილად დაარღვიეს საზღვარი და გადავიდნენ ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ისე გააშუქეს, თითქოს ეს ადამიანები აწამეს და სასტიკად მოექცნენ. შეიძლება გაზეთისთვისაც არ დაგვეჯერებინა , მაგრამ მე თავად ვიცნობ ამ ადამიანებს და გაზეთ ,,გორის მაცნეში“ ამ თემასთან დაკავშირებით დაბეჭდილი სტატია აბსოლუტურად შეესაბამება სიმართლეს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: გაზეთი „გორის მაცნე“ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა პოზიცია აქვთ სხვა ქვეყნებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ. გაზეთი მკითხველს აწვდის ინფორმაციას სხვა სახელმწიფოთა პოზიციაზე ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით. გაზეთში

აღნიშნულია სირიის მიერ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და საქართველოს სხვა ოკუპირებული რეგიონების ცალკე სახელმწიფოდ აღიარების შესახებ. ამ განცხადებას გამოეხმაურა ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბედ რუდი, რომელმაც მკაფიოდ განაცხადა, რომ მიუღებელია სირიის დამოკიდებულება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ტერიტორიებია. ამავე პოზიციას იზიარებს ოფიციალური ბრიუსელი.

გაზეთის ფურცლებიდან გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მთავრობის შეთავაზებებსა და სამშვიდობო ინიციატივებზე. გაეცნონ დეტალურ ინფორმაციას. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი შეთავაზებაა ქართველი და ოსი მოსახლეობისათვის, რომ მათ ერთად შეუძლიათ აწარმოონ სასოფლო- სამეურნეო სამუშაოებიდა ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაებები. ყველაფერ ამას, რასაკვირველია, გაზეთი ამცნობს მკითხველს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მთავრობის ამ შეთავაზებაზე ძალიან ზედაპირული ინფორმაცია მიაწოდეს ტელევიზიებმა მოსახლეობას. არადა ძალიანმ ნიშვნელოვანი და კარგი პროექტია ორივე მხარისათვის, საზღვრისპირა მოსახლეობისათვის. აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ ისარგებლონ პროექტით და მონაწილეობა მიიღონ ამ თემასთან დაკავშირებით, აქვთ ძალიან მწირი ინფორმაცია. სწორედ ამიტომ ადგილობრივი გაზეთი „გორის მაცნე“ ცდილობს, რომ აუნაზღაუროს მათ ეს დანაკლისი და ინფორმაციულ ვაკუუმში არ ამყოფოს ადგილობრივი მითხველი.

გაზეთი „გორის მაცნე“ წინასწარ მოძიებულ და დადასტურებულ, გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს კონფლიქტთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე. მაგალითად: ერთ-ერთი ასეთია აღდგომის დღესთან დაკავშირებით კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის მისვლა ახლობელთა საფლავებზე, რომლებიც ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვდა. ამ თემაზე წინასწარ ერთი თვით ადრე იწყებს გაზეთი მოკვლევას. აგროვებს ინფორმაციას, რა ეტაპზეა მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა შესვლას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არის თუ არა რაიმე საიმედო ინფორმაცია ამ კუთხით, რათა ამ მოსახლეობას,რომელიც საგანგებოდ ემზადება ამ დღისთვის, არ ჰქონდეს ფუჭი იმედი და ბოლო დღეებში კიდევ უფრო არ გაუცრუვდეს ეს იმედი. აქედან

გამომდინარე, გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით ,,შეძლებენ თუ არა?“. სტატიაში ნახავთ შესაბამის კომენტარს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა ინფორმაცია, რაც გვხვდება გაზეთის ფურცლებზე არის გადამოწმებული, შესაბამისი კომენტარები კი მინისტრის დონეზეა და კომუნიკაცია გაზეთის რედაქტორს აქვს სხვადასხვა სამინისტროსთან.

2018 წლის 6-12 აგვისტოს ნომერი თითქმის მთლიანად ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომის გახსენებას. მოცემულია ომის შემზარავი სურათი დატრაგიკული შედეგები. გაზეთი ასახავს გორში გამართულ ღონისძიებებს - მათ შორის, დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის გამართვას, ფილმების ჩვენებას (გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში მცხოვრებიშვიდი ქალის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმი ერგნეთის ,,ომისმუზეუმში“) და ომის თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაციას. ამ დღესსაქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა ექიმები, რომლებიც ომის დროს გორის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდნენ. აქვეასტატია შეიარაღებული ძალების შესახებ, რაც ამ დღეს ბუნებრივად ესადაგება.

ძალიან ამაღელვებელია სტატია, რომელიც შინდისის გმირებს ეძღვნება.თითქოს ყველაფერი თვალწინ დამიდგა, რაც აგვისტოს ომის დროს გადავიტანეთ. ისეთი მკაფიო იყო ეს მოგონება თუ ხილვა, რომ თითქოს გუშინიყო ომი და დღეს დასრულდა. ომი არ სრულდება და გაზეთის ეს ნომერი კარგად ასახავს ყველა იმ ტკივილს, რაც ჯერ კიდევ არ განელებულა და არც განელდება, ვიდრე საქართველო არ გამთლიანდება. სამუდამოდ გვემახსოვრება ყველა ის გმირი, რომელიც აგვისტოს ომის დროს თავგანწირვით იბრძოდა. იმედს ვიტოვებთ, რომ გაზეთის მცდელობა - ოკუპაცია მუდამ გვახსოვდეს, უშედეგოდ არ ჩაივლის და მხოლოდ ამ დღეს არ გაახსენდება ხელისუფლებას, რომ არსებობს ძმები რომელაშვილების ოჯახი და რომ მათ მუდამ სჭირდება მხარდაჭერა. რომ ანწუხელიძის ახლობლებიც არასდროს უნდა იყვნენ მიტოვებულები. შინდისის გმირების უკვდავსაყოფად კი, მემორიალის გარდა, უფრო მეტი რამის გაკეთებაა საჭირო. სტატიაში მოცემულია, რომ შინდისის გმირების მემორიალი ყვავილებით შეამკეს, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აქვეა ნათქვამი დაღუპული გმირების უკვდავსაყოფად 17 ფიგურიანი პორტრეტული ძეგლის მშენებლობაზე, რომელიც მომავალ წელს უნდა დასრულდეს (2019.08.08).

2008 წლის 8 აგვისტოს ომის გახსენებას სპორტსმენებიც უერთდებიან, - გვამცნობს გაზეთი „გორის მაცნე“. შინდისის გმირების მემორიალურ ტურნირში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ძიუდოისტები, რომელთაც, ტურნირის დაწყებამდე, გვირგვინებით შეამკესომის გმირთა მემორიალი.

გაზეთი ერთ ძალიან სასიამოვნო ფაქტსაც გვამცნობს, რაგინდ გაგვიკვირდეს ომზე სასიმოვნო სიახლე. ეს არის ომში დაკარგული ჯარისკაცის- ზაზა სირბილაძის სახელობის ქუჩის გახსნა. იგი იბრძოდა აფხაზეთის ომში. გორის რაიონის სოფელ თორტიზაში მისი სახელი დაერქვა ქუჩას, სადაც ისცხოვრობდა ომში წასვლამდე (21 წლის დაიღუპა). სტატიაში მოცემულია გახსნის ცერემონიასთან დაკავშირებული დეტალებიც. ეს სტატია არის დადასტურება იმისა, რომ გაზეთი მხოლოდ ცხინვალის რეგიონსა და გორისთვის ახლობელ თემებს არ აშუქებს, ის ეხება აფხაზეთის კონფლიქტსაც, ამის დასტურია გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები აფხაზეთის დაცემის თარიღთან დაკავშირებით ქალაქში გამართული ღონისძიებების შესახებ. სტატიაში ხაზგასმულია, თუ რა მძიმეა აფხაზეთის საკითხი ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც საქართველოსთვის. აქვე წაიკითხავთ მოკლე ისტორიულ ცნობებსაც აფხაზეთის ომთან დაკავშიებით.

ნებისმიერი კონფლიქტის დარეგულირება მოითხოვს ინტენსიურ მოლაპარაკებებს. რასაკვირველია, არც ეს კონფლიქტი გამოირჩევა ამ მხრივ დახშირად იმართება შეხვედრები მოლაპარაკების მაგიდასთან ოსურ მხარესა დასაქართველოს შორის, მაგრამ მსგავსი შეხვედრები უშედეგოდ მთავრდება. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ავრცელებს სტატიას გაზეთი „გორი სმაცნე“. ერგნეთში გამართული 87-ე შეხვედრის შესახებ სტატიაში აღნიშნულია მოლაპარაკების მთავარი თემები. ეს არის არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის მკვლელობის საქმეები. აქვე მოცემულია ოსური მხარის პოზიცია ამ საკითხის მიმართ და მომდევნო შეხვედრების შესახებაც არის ინფორმაცია.

გაზეთის სხვა ნომრებშიც გვხვდება სტატიები ამ თემასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ერგნეთში გამართული შეხვედრები, ძირითადად, უშედეგოდ მთავრდება. ერთ-ერთი მათგანის შესახებ გაზეთშიარის ინფორმაცია. ნათქვამია, რომ 89-ე შეხვედრის ჩაშლის მიზეზი გახდა მისი დღისწესრიგი. დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დღისწესრიგიდან არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის საკითხის ამოღება მოითხოვეს, ქართულმა მხარემ უარი განაცხადა, მათ კი, პროტესტის ნიშნად, სხდომა დატოვეს. სტატიაში ნათქვამია, რომ უცნობია, როდის განახლდება ჩაშლილი შეხვედრა ერგნეთში (17-23 სექტემბერი). ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკებები გაგრძელდება, რადგან კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოები სამსახურის ინფორმაციით, ბოლო ოთხ წელიწადში, დაკავების შემთხვევების საშუალო მაჩვენებელი, წინაწლებთან შედარებით, ნამდვილად გაიზარდა, ოღონდ, 1,5-ჯერ და არა„ორჯერ და სამჯერ“, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს. ე.წ. „საზღვრის უკანონო კვეთის“ გამო დაკავებულ პირთა რაოდენობა.



გაზეთი „ქარელის მოამბე“

„ქარელის მოამბე“ 4 - გვერდიანი მუნიციპალური გაზეთია; თვეში ორჯერ გამოდის; A4 ფორმატისაა და მთლიანად შავ-თეთრი; რედაქტორია ვასილ მამულაშვილი; რაც შეეხება ვიზუალურ მხარეს, პირველი გვერდის გაფორმებას, ანუ გაზეთის მუდმივ სახეს, ლოგოსთან ერთად, ქალაქ ქარელის გერბიც ქმნის.

ქარელის (დღეს მუნიციპალური) რაიონული გაზეთი 80 წლის ხდება (გამოვიდა 1939 წლის 8 სექტემბერს). პირველად „ქარელელი კოლმეურნე“ ერქვა, რამდენიმე წლის შემდეგ , „ქარელის კოლმეურნემ“ გააგრძელა რაიონის მედიაისტორია. 70-80 იან წლებში გაზეთი საფუძვლიანად განახლდა, რაიონული გაზეთი გახდა და ეწოდა „სამრეკლო“. ახლა გაზეთი გამოდის სახელწოდებით „ქარელის მოამბე“. ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. ამ წელს იზრდება გამოცემის ტირაჟი, მოიმატა თანამშრომელთა ხელფასმაც. რედაქცია ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი პროგრამების რეალიზაციას, ადამიანთა ცხოვრების პირობების თაანმიმდევრულ გაუმჯობესებას. რეგულარულად ქვეყნდება წერილები საგანმანათლებლო სფეროდან, კულტურის, სპორტის აქტუალურ თემებზე, რაც უმეტესად, რედაქტორის სვეტში აისახება.

გაზეთის ძირითადი თემატიკა

„ქარელის მოამბის“ 2019 წლის პირველი ნომრის (14 იანვარი) პირველი გვერდი ეთმობა ინტერვიუს ქარელის მერთან ზაზა გულიაშვილთან. ინტერვიუში, ძირითადად, განხილულია სიღარიბესთან, საერთოდ, სოციალურ მდგომარეობასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემები. ქარელის მერის თქმით, პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“, რომელიც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის

სამინისტროს ინიციატივითა და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, კარგი შანსია მათთვის, ვისაც სურს, სოფლად განავითაროს საკუთარი ბიზნესი. მერი საუბრობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობაზე. ქარელსა და მის გარშემო მდებარე ქარხნების მუშაობაზე. თვალშისაცემია ერთი გარემოება: ჟურნალისტი, ფაქტობრივად, ერთი და იმავე შინაარსის კითხვებს უსვამს რესპონდენტს სიღარიბეზე, უმუშევრობაზე და პასუხებიც, შესაბამისად ერთი და იგივეა. ინტერვიუ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს წინასწარ არის შეთანხმებული კითხვებიც და პასუხებიც, რადგან აქ ხაზგასმულია ხელისუფლების მიღწევები, რასაც დამაჯერებლობა აშკარად აკლია.

აქვეა ძალიან მწირი და ზედაპირული ინფრომაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების დაფინანსების შესახებ.

გაზეთში საკმაოდ ბევრი იწერება ადგილობრივთა წარმატებების შესახებ სხავდასხვა სფეროში - ცეკვა, სიმღერა, კონფერენიებში მონაწილეობა.... მაგალითად, ერთი სტატია ეხება2017 წლის სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს.

გაზეთი „ქარელის მოამბე“ უყურადღებოდ არც გამარჯვებულ მოსწავლეებს ტოვებს და სოფელ დირბის საჯარო სკოლიდან გამარჯვებულ მოსწავლეებზე აქვეყნებს ვრცელ სტატიას. მათ გაიმარჯვეს ევროკავშრის მიერ ჩატარებულ კონკურსში, რომელიც გენდერული ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვფიქრობთ, რომ მსგავსი სტატიები ისეთი პატარა რაიონისთვის , როგორიც ქარელია, ძალიან მნიშვნელოვანია. ის მოსწავლე - ახალგაზრდობისთვის ერთგვარი სტიმული იქნება.

გაზეთი, საერთოდ, დიდ ყურადღებას უთმობს განათლების საკითხებს. გამოვყოფთ ერთ- ერთ სტატიას, სათაურით „ყველა გზა სკოლისკენ მიდის“, რომელშიც ქარელის საგანმანათლბლო რესურსცენტის უფროსი გიორგი კობახიძე ერთგვარად მიმოიხილავს 2018 წლის შედეგებს, აღნიშნავს ქარელსა და მის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებას, საუბრობს სასკოლო ბანაკების, მოსწავლეთა წარმატების შესახებ.

გაზეთი „ქარელის მოამბე“ აქვეყნებს საინფორმაციო სტატიას მუნიციპალიტეტში დაწყებულ შეხვედრებზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამის მთვარი დანიშნულებაა, ხალხმა თავად აირჩიოს, რა შემატოს სოფელს პროგრამით გამოყოფილი თანხით. სტატიაში მოცემულია, რომ ქარელის მერი ზაზა გულიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები აგრძელებენ შეხვედრებს სხავდასხვა სოფლის მოსახლეობასთან. აქ დასახელებულია სოფლები, რომლებმაც უკვე შეარჩიეს რაში გამოიყენონ გამოყოფილი თანხა დანარჩენები კი ელოდებიან შეხვედრას. ვფიქრობთ, რომ მსგავსი სახის ინფორმაცია ხელს უწყობს ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, იყოს საქმის კურსში მერიისა და მუნიციპალიტეტის პროგრამებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მსგავსი სტატიები იქნება სამაგალითო სხვა სოფლებისთვისაც, რათა ისინიც ჩაერთონ ამ და სხვა პროგრამაში და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება სთავაზობს.

გაზეთი მკითხველს სთავაზობს სამედიცინო რჩევებსაც. იანვრის ნომერში ნახავთ პუბლიკაციას ინფექციური დაავადების - წითელას შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს „ქარელის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორთან ირინა ფარეხელაშვილთან. ინტერვიუში დასახელებულია სიმპტომები , რომელიც დაავადებას ახასიათებს, რჩევები ექიმისგან, როგორ უნდა მოიქცნენ მისგან თავის დასაცავად ან როგორ უნდა უმკურნალონ ამ დაავადებას. მსგავსი საკითხები, რასაკვირველია მნიშვნელოვანი და საინტერესოა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

„ქარელის მოამბე“ სპორტულ სიახლეებსაც აცნობს მკითხველს. ცალკეა გამოყოფილი თებერვლის ნომერში პატარ-პატარა სტატიები საერთო სათაურით „ქარელის მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მნიშვნელოვანი წარმატებები“. აქ ნახავთ სიახლეებს სპორტის სხვადასხვა სახეობაზე: ფეხბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, კიკბოქსინგი და ა.შ. ნათქვამია ადგილობრივთა წარმატებებზე.

რარიგ გასაკვირიც იყოს, „ქარელის მოამბეში“ გვხვდება ფელეტონი (სატირულ-იუმორისტული ჟანრი). ეს არის ჟანრი, რომელიც შეიძლება ითქვას, ქართულ პრესაში სულს ღაფავს. ფელეტონის სათაური ასეთია: „ვირტუალური მზითვი.“ ავტორი - შოთა

ქელეხსაშვილი. ის მობილურ ტელეფონზე და ვირტუალურ სამყაროზე დამოკიდებულების დაავადებას ეხება. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო წასაკითხი და დასაფიქრებელი ამბავი მოგვითხრო გაზეთმა ამ თემაზე.

„ქარელის მოამბეს“ აქვს ასეთი რუბრიკა: „ინფორმაცია.“ ის დაყოფილია ქვერუბრიკებად: ევროპა, რესპუბლიკა, რეგიონი, მუნიციპალიტეტი.

პირველ ქვეთავში (ევროპა) მოთხრობილია სტრასბურგში, ევროსაბჭოს სასახლესთან ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავის გახსნის შესახებ ;

შემდეგი თავი ეხება რესპუბლიკური დონის სიახლეს: მაგალითად, პრეზიდენტის სასახლის ფუნქციის შეცვლას, რომელსაც „სახელმწიფო ცერმონიების სასახლე“ ეწოდა;

შემდეგი არის რეგიონის საკითხი: აქ ვეცნობით შიდა ქართლის გუბერნატორის ანგარიშს 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბოლო ქვეთავში კი საუბარია ქარელის მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობასა და გამწვანების აქციაზეა.

ვფიქრობთ, ასეთი რუბრიკა ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი (მუნიციპალური) გაზეთისათვის. ის კი სამწუხაროა, რომ ხსენებული რუბრიკა იშვიათად გვხვდება გაზეთში.

გაზეთში ნახავთ ინტერვიუს ქარელის მერთან, რომელიც ადგილობრივთა კითხვებს პასუხობს. სათაური: „შეკითხვების ავტორია ხალხი, ადრესატი-მუნიციპალიტეტის მერი.“ სათაურს წინ უძღვის ფრაზა: „პროგრამა ქართული, გზები-რეალური.“ ცოტა გაუგებარია, რას ნიშნავს, რისი თქმა სურს ავტორს ამით. ინტერვიუში საუბარია წითელას ვირუსზე, სოციალურ პრობლემებზე, ემიგრაციაზე და ა.შ. ინტერვიუს შინაარსი არ ემთხვევა მის სათაურს ამიტომ არის შეუთავსებელი და ბუნდოვანი. მომდევნო ნომრებშიც არის ასეთი სტატიები სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელ პირებთან, მაგალითად: ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და ასე შემდეგ. თითქმის ყველა

განხილულ ნომერში გვხვდება ინტერვიუ ადგილობრივ მოხელეებთან და სტატიები მათ მიერ განხორციელებულ ან დაგეგმილ პროექტებსა თუ პროგრამებზე.

გაზეთი მკითხველს აცნობს სოციალური დახმარების გაცემის წესსა და პირობებს. ამ მიზნით აქვეყნებს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის თინა თედელურის სატელევიზიო ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტს. ვფიქრობ, ეს გაზეთისთვის დიდად სახარბიელო სვლად ვერ ჩაითვლება.

გაზეთი ბეჭდავს მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა პროექტისა და პროგრამის შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს. მაგალითად: მრავალშვილიან ოჯახთა დაფინანსების პირობები, თირკმლის, ღვიძლის და სხვა ორგანოთა დაავადების შემთხვევაში, როგორ დაფინანსდებიან ამის საჭიროების მქონე პირები, ვის უნდა მიმართონ და ასე შემდეგ.

არცთუ იშვიათად გაზეთში გვხვდება ტრაფარეტული და მოძველებული სათაურები, მაგალითად, ასეთი: „მადლობა ჩვენს პოლიციას.“ მსგავსი სათაური მით უფრო გაუმართლებელია მაშინ, როცა სტატია რაიმე განსაკუთრებულს არ გვეუბნება თვითონ პოლიციის საქმიანობაზე. რაზეც საჯაროდ მადლობას უხდი თუნდაც პოლიციას ვფიქრობ გაზეთისთვის ზედმეტია.

რაც შეეხება კულტურის სიახლეებს: გაზეთი „ქარელის მოამბე“ მუზეუმების საერთაშორისო დღეს გამოეხმაურა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მოუთხრო მკითხველს.“

„ქარელი მოამბეში“ მკითხველს გასართობ მასალებსაც სთავაზობს. მაგალითად, დაბეჭდილია სახალისო მოთხრობა, სათაურით: „რა კარგია მზის დახრისას სიცილი და...“ აგრეთვე სამი მოკლე ლექსი დასათაურება „ღიმილიანი სტრიქონები“

მაისის ნომერში ნახავთ ცნობარს მგზავრებისათვის - გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქალაქში მატარებლებისა და ავტობუსების მოძრაობის განრიგი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთი „ქარელის მოამბე“ მიუხედავად იმისა, რომ დასახვეწია და ბევრი რამ აქვს შესაცვლელი, რაც ეხება ინფორმაციულობას, დამოუკიდებლობას,

ოკუპაციის თემის არ გაშუქებას, პირველი გვერდის პრობლემას და ა.შ. აქ ნახავთ ისეთ ჟანრებსა და რუბრიკებს, რომელთაც სხვაგან იშვიათად შეხვდებით. ეს კი ცოტა არ არის ერთი პატარა ქალაქის (მუნიციპალიტეტის) გაზეთისათვის.

დასკვნა

ჩვენი დღევანდელობის ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ ბეჭდური მედია, ძირითადად, ორიენტირებულია კომერციაზე და, ხშირ შემთხვევაში, არასწორ ინფორმაციას მიზანმიმართულად ავრცელებს. ცდილობენ, ყურადღება მიიპყრონ სენსაციური სათაურებითა და სკანდალური შინაარსით, რათა გაზეთი ან ჟურნალი გაყიდვადი გახადონ. გაზეთი „გორის მაცნე“ არ არის ორიენტირებული კომერციულ სარგებელზე. ის ცდილობს, აკადემიურად, ობიექტურად, მიუკერძოებლად ასახოს სინამდვილე.

ჩვენი აზრით: ია თინიკაშვილი, უდავოდ წარმატებული რედაქტორია. მას შეუძლია, თუნდაც ოთხგვერდიანი და კვირაში ერთხელ გამომავალი გაზეთი აქტუალური საკითხებითა და საინტერესო ინფორმაციებით დატვირთოს. თავშივე აღინიშნა, რომ როგორც ჟურნალისტი, ია ძალიან გამოცდილია, მუდამ აქტიურია და მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს. მისი სტატიებიც ამიტომ არის საინტერესო და აქტუალური. ,,გორის მაცნეც“, უმთავრესად, ამის წყალობით ასრულებს ადგილობრივი გაზეთისთვის განსაზღვრულ ფუნქციებს. ობიექტურად ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს, გორსა და გორის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს. რაც შეეხება ოკუპაციის თემის გაშუქებას, აქ მართლაც თამამად ვიტყვით: ამ მხრივ, ,,გორის მაცნე“ ერთ -ერთი ნათელი წერტილია ქართულ მედიასივრცეში. გაზეთი ცდილობს, თავისი თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის მოგვარებაში, თანაც არა სკანდალურობითა და სენსაციურობით, არამედ აკადემიური გულშემატკივრობით.

თითქმის ყველა ახალი ამბავი, რომელიც გაზეთ ,,გორის მაცნეში“ ქვეყნდება, გადამოწმებულია და კომპეტენტური პიროვნების კომენტარით გამყარებული.

რაც შეეხება „ქარელის მოამბეს“, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თითქმის ყველა ნომერი იწყება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთან ინტერვიუთი - იქნება ეს მერი, მისი მოადგილე, საკრებულოს თავჯდომარე თუ რომელიმე სამსახურის ხელმძღვანელი. ეს ძალიან თვალშისაცემია და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გაზეთისთვის მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენელი იყოს კმაყოფილი. ვფიქრობთ, ამ გარემოებას რედაქციამ ყურადღება უნდა მიაქციოს, თუკი სურს, რომ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ჰქონდეს პრეტენზია. ამაზე ყურადღებას საგანგებოდ იქნებ არც გავამახვილებდით, რომ არა ერთი გარემოება: ბოლო 5 თვის (იანვარი-მაისი) განმავლობაში, აქ ვერ ნახავთ ოპოზიციის ან სამოქალაქო საზოგადოების წევრების კომენტარს ან ინტერვიუს.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი დასახვეწია ინფორმაციული თვალსაზრისითაც. იგრძნობა, რომ გაზეთს არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა და ერთიანი სტრუქტურა, ცოტა იწერება მოსახლეობის პრობლემებზეც, რაც ვფიქრობთ, ადგილობრივი პრესის უპირველესი მოვალეობაა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, გაზეთი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქარელისა და მისი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზეთი „გორის მაცნე“
2. გაზეთი „ქარელის მოამბე“
3. http://www.media.ge/ge/database/media/300937/
4. http://gori.gov.ge/prescentri1/iuridiuli-pirebi/124-aaip-goris-municipalitetis-gazeti-
5. quotgoris-macnequot.html
6. https://factcheck.ge/ka/story/28595-bolo-tslebshi-saokupatsio-zolidan-adamianis-
7. gatatsebis-phaqtebi-gaormagda-da-gasammagda
8. დეფლორი/დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბ., 2009;
9. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, თბ., 2011;
10. მ. ვეკუა, ჟ. რუე(იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბ., 2013;
11. ი. ჭუმბურიძე, ანალიტიკური ჟურნალისტიკის საკითხები, თბ., 2018;
12. ი. ჭუმბურიძე,ჟურნალისტიკის შესავლის საკითხები, თბ., 2012;
13. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ., 2006;
14. ტ. რეპკოვა, ახალი დროება, პროფესიული გაზეთის შექმნა...თბ., 2001;
15. მ. მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბ., 2013.